სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 მაისი 2008 №115 (3339) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

VAN DER, რა თქმა უნდა, STAR



UEFA CHAMPIONS LEAGUE

ოლიგა-რეკორი სერ ალექსისგან

არჩილი და შოთა

ბადრი კეთილაძის ფოტო

შოთას აეროპორტში მამაც დახვდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ფეხბურთიდან ჯერ არ წავსულვარ!

ორი კვირაც და, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლე შოთა არველაძე ფეხბურთელის კარიერას ოფიციალურად დაასრულებს — შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩი 3 ივნისს „ეროვნულზე" გაიმართება.

რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში არველაძემ „ლევანტეს" შემადგენლობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალის" წინააღმდეგ ითამაშა, გუშინ კი თბილისში დაბრუნდა. ჩვენც მას აეროპორტში დავხვდით და პირველ რიგში მომავალ მატჩზე ვკითხეთ...

— ყველა ის ფეხბურთელი ჩამოვა ამ მატჩზე, რომლებიც ბოლოს გამოვაცხადე. ეს წუთია, ვესაუბრე ედგარ დავიდსს და, შესაძლოა, ის ველარ ჩამოვიდეს თბილისში. ამის მიზეზი კი „ოლ სტარის" მატჩია, რომელიც 25 მაისს ბუქარესტშია დანიშნული, რამდენიმე დღეში ტოკიოშიც ტარდება რაღაც. დავიდსი იქაცაა მიწვეული და ალბათ ამდენ ფრენას ვერ შეძლებს. ამ „ოლ სტარზე" მეც მიმიწვიეს, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ წასვლას.

— მატჩის საორგანიზაციო საკითხები როგორ მიდის?

— მე დღეიდან ჩავერთვები, მანამდე კი რეზი და აჩიკო აგვარებდნენ და მათ უფრო იციან. აქვე მინდა, ყველა იმ ადამიანს ვუთხრა დიდი მადლობა, ვინც გვერდით მიდგას და ასეთი უამრავია. განსაკუთრებული მადლობა „საქართველოს ბანკს" და კაზინო „აჭარის" მფლობელ თემურ უგულავას. მისი პირადი დამსახურებაა, რომ ძმები ლაუდრუპები ჩამოდიან — იგი ქირაობს ლაუდრუპებისთვის თვითმფრინავს.

— რამდენიმე დღის წინ კარიერაში ბოლო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშე...

— ჩემი უსაყვარლესი სტადიონი „ეროვნულია" და 3 ივნისს ფეხბურთს სწორედ იქ დავემშვიდობები. აი, ეს იქნება კარიერაში ბოლო მატჩი. ამ სტადიონზე უამრავი სითბო, სიყვარული და ტაში მიმიღია. რამდენიმე ქვეყანაში მითამაშია და არც ერთი ქვეყნის გულშემატკივართან არ ვგრძნობ თავს ვალში, ქართველი გულშემატკივრის გარდა. მინდა, ბევრი ხალხი მოვიდეს და დიდი სიამოვნება მიიღოს.

— კარიერას ასრულებ და მომავალში რას აპირებ, კიდევ არ გადაგიწყვეტია?

— რა თქმა უნდა, ფეხბურთში დავრჩები. მაქვს წინადადებები, და ვნახოთ...

— ლუის ვან გაალი „ალკმაარში" თანაშემწეობას გთავაზობს და არც ამ მხრივაა რამე სიახლე?

— ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. თბილისში ჩამოდის ვან გაალი და კიდევ გვექნება საუბარი. აქვე გეტყვით, რომ მორტენ ოლსენიც აქ იქნება, ხოლო შენოლ გიუნეშის ჩამოსვლა სათუოა.

შოთას აეროპორტში ჟურნალისტების გარდა, ცხადია, ოჯახის წევრებიც დახვდნენ და ჩვენც ტყუპისცალს, აჩიკოს გავესაუბრეთ...

— მატჩისთვის მზადება ნორმალურად მიდის და იმედი მაქვს, 3 ივნისს მაღალ დონეზე ორგანიზებული საღამო გამოვა.

— მატჩი 18 საათზეა დანიშნული — უფრო გვიან ხომ არ სჯობდა?

— ჩამოსული ფეხბურთელები იმ ღამესვე, 2 საათზე უნდა გაფრინდნენ და ამიტომ შევარჩიეთ ეს დრო. არა მგონია, დრომ ხალხის სტადიონზე მოსვლას ხელი შეუშალოს, ვისაც სურვილი ექნება, მაინც მოვა.

— ბილეთები როდის გაიყიდება?

— მატჩამდე ხუთი დღით ადრე დაიწყება ბილეთების გაყიდვა და 5-10 ლარი ეღირება. აქვე გეტყვით, რომ ორი ათასი მოსაწვევი სკოლებს დაურიგდებათ.

— ფორმებიც ხომ არ შეგირჩევიათ?

— ჩვენ თეთრებით ვითამაშებთ, ვარსკვლავები — წითლებით. ყველა ფეხბურთელს თავისი გვარი ეწერება მაისურაზე. მესამე ფორმაც ჩამოიტანა ალექსანდრე იაშვილმა და ამ დღეებში საბოლოოდ გადავწყვეტთ, რითი ვითამაშოთ. მე და შოთას კი ორივეს ცხრა ნომერი გვეცმევა.

ნუკრი ლოლაძე

ოთარ ხიზანეიშვილი: ქაისერი არ გამექცევა, გერმანიაში მირჩევნია

ფინკე მშვენიერია

„**ჯერ** კიდევ ვფიქრობ „ქაისერში" გადასვლა-არგადასვლაზე, გერმანიაში მირჩევნია დარჩენა და ამიტომაც არ ჩავსულვარ თურქეთში. თუ აქ არაფერი გამომიჩნდა, მაშინღა წავალ „ქაისერში" — გვითხრა ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით...

აქვე გეტყვით, რომ ერთ-ერთი გერმანული ვებგვერდის ფორუმზე წერია, ხიზანეიშვილით „არმინიაა" დაინტერესებული, ბილეფელდელებს ყველაზე მეტად დაცვის გაძლიერება სურთ, რადგან ერთმა მცველმა უკვე დატოვა გუნდი და შესაძლოა, მას მეორეც მიჰყვესო.

თვითონ ოთარმა გვითხრა, კონკრეტულად ჯერ არც ერთ გერმანულ გუნდზე არ არის ლაპარაკი, თუმც ერთი ბუნდესლიგური და ერთიც მეორებუნდესლიგური კლუბის ვარიანტზე გავიგე, ჩემით არიან დაინტერესებულნიო.

და ფოლკე ფინკე? ხიზანეიშვილს საქართველოს ნაკრებში გამწვრთნელების ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატზეც ვკითხეთ აზრი...

„ფინკე მართლაც კარგი მწვრთნელია. იმიტომ არ ვამბობ, რომ მასთან ვმუშაობდი. გულსა და ჯიგარს დებდა „ფრაიბურგში", კვალიფიკაციაც აქვს და ურთიერთობაშიც კარგი ადამიანია. ფინკეს გუშინ ველაპარაკე, საქართველოს ნაკრებზეც ვკითხე და მიპასუხა, ვფიქრობო".

ილია ნანობაშვილი

ბრანკო ივანკოვიჩის (მარჯვნივ) პრეზენტაცია

ბრანკო ივანკოვიჩი დინამოს უპროფესორებს

ბრანკო ივანკოვიჩი ზაგრების „დინამოს" მთავარ მწვრთნელად დაბრუნდა. საქართველოს ნაკრების გათავკაცების ყოფილმა კანდიდატმა 14 იანვარს დატოვა ზაგრების კლუბი, თუმცა ხუთთვიანი შესვენების შემდეგ ისევ ძველ ნავსაყუდელს მიაკითხა — ზამთარში „პროფესორმა" კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო დატოვა პოსტი.

ივანკოვიჩმა „დინამოსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში ხელფასის სახით მილიონ ევროს მიიღებს.

„იმ პერიოდში, როცა ბრანკო ჩვენთან არ მუშაობდა, მეგონა, თითქოს ერთი ხელი მაკლდა. მე ულაპარაკოდ მჯერა ივანკოვიჩის და ამიტომაც გავუფორმეთ მას ხანგრძლივი კონტრაქტი" — თქვა „დინამოს" ხელმძღვანელმა ზდრავკო მამიჩმა.

ილია ნანობაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნაკრებმა მეკარეები გლდანში დატოვა

საქართველოს ეროვნული ნაკრები „ამერის“ სტადიონს 11 საათსა და 45 წუთზე მიადგა და ახალმა თავკაცმა ჰეტარ სეგრტმა ხუთ წუთში ვარჯიშიც დაიწყო.

გუშინ ხორვატის განკარგულებაში 25 ფეხბურთელი იყო. სულ კი, შეგახსენებთ, მან 34 ფეხბურთელს უხმო...

გამოძახებულთაგან გუშინ არ ყოფილან კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით დევდარიანი, დავით მუჯირი, გიორგი დემეტრაძე და ალექსანდრე იაშვილი.

თავიდან სეგრტმა ფეხბურთელები შემოიკრიბა და გაესაუბრა, მერე კი ათი წუთი მათთან ერთად იძუნძულა. როგორც სჩვევია ხოლმე, მთელი წვრთნის განმავლობაში ხმაურიანი იყო — სეგრტი ფეხბურთელებს ემოციურად აძლევდა დარიგებებს, თუ შესრულება არ მოეწონებოდა, ხმამაღლა უთიოებდა, ფეხბურთელებიც ყურადღებით უსმენდნენ და ცდილობდნენ, შენიშვნები არ მიეღოთ.

სეგრტის ნათქვამს შიგადაშიგ ლევან ცქიტიშვილი უთარგმნიდა თანაგუნდელებს და საერთოდ, პირველი ვარჯიშისას გამოჩნდა, რომ ნაკრების ვეტერანები ხორვატს საკმაოდ მორიდებით ეპყრობოდნენ.

მოკლედ, პირველმა საათნახევრიანმა წვრთნამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ვარჯიში კი ასე წარიმართა: მეკარეები ასლან ბალაძემ და მამუკა აბუსერიძემ იხმეს, იქვე იყვნენ სერგო კოტრიკაძე და ოთარ გაბელია, თუმც სამწვრთნელ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ...

სეგრტმა ცქიტიშვილს, ალექსიძეს, ყენიას, ხიდეშელს, ტატანაშვილს, ხუციშვილს, გოცირიძეს, ლობჟანიძეს და ოდიკაძეს ძუნძული დაავალა. მეორე ჯგუფი კი თავისთან იხმო და გაახურა.

ამის შემდეგ ხორვატმა დიდი ყურადღება დაუთმო უბურთო მოძრაობას და ბურთის კოლექტიურ არომევას...

ვარჯიში დასრულდა, თუმც არა მეკარეებისთვის — ბალაძემ და აბუსერიძემ კიდევ რამდენიმე წუთი გააცალეს სიქა შეგირდებს, ნაკრები კი ბაზაზე მეკარეების გარეშე დაბრუნდა.

ნუკრი ლოლაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ჰეტარ სეგრტი, ცხადია, გუშინაც ემოციური იყო

რატი ალექსიძე ნაკრებში ჰეტარ სეგრტმა დააბრუნა





ბადრი კეთილაძის ფოტოები



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ამ ფეხბურთელებმა ივარჯიშეს

გიორგი ლომაია, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე, რევაზ თევდორაძე, როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, უჩა ლობჟანიძე, ამირან სანაია, ალექსანდრე კვახაძე, ლევან ცქიტიშვილი, დავით კვირკველია, გიორგი მერებაშვილი, ლევან ყენია, გიორგი ხიდეშელი, დავით ოდიკაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, მირზა ბეჟალავა, რატი ალექსიძე, დიმიტრი ტატანაშვილი, ბექა გოცირიძე, მიხეილ ხუციშვილი, ვახტანგ ფანცხავა, რევაზ ბარაბაძე.

ჰეტარ სეგრტი: ვიპოვე სხვაობა

ესეც სეგრტისეული პირველი ვარჯიში, რომლის დამთავრების შემდეგ ხორვატ სპეციალისტს გავესაუბრეთ — როგორც ყოველთვის, ის გუშინაც ემოციური იყო, წუთით არ გაჩერებულ-გაჩუმებულა...

— ნაკრების შემადგენლობა ბოლომდე როდის შეივსება?

— ხვალიდან გვეყოლებიან მალხაზ ასათიანი, გიორგი ნავალოვსკი, დავით მუჯირი, ზურაბ მენთეშაშვილი, ალექსანდრე იაშვილი და კახა კალაძე, რომელსაც ტრავმა აწუხებს, თუმც გუნდს შეუერთდება და მერე გადაწყდება, ითამაშებს თუ არა ამხანაგურ მატჩებში. მიზეზთა გამო გვაკლდა დავით დევდარიანიც, თუმც ხვალიდან ნაკრებთან ერთად იქნება. რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, გეცოდინებათ, ის გერმანიიდან პირდაპირ ტალინში შემოგვიერთდება ესტონეთთან მატჩისთვის.

— ეროვნულ ნაკრებთან პირველი ვარჯიშის შემდეგ შთაბეჭდილებები როგორია?

— დისციპლინას თქვენც შეატყობდით. თავიდან ხუთი წუთი მოდუნებულები იყვნენ ფეხბურთელები, მაგრამ მერე მაგრად ამუშავდნენ. ეს ჩემი პირველი ვარჯიშია ეროვნულ ნაკრებთან და, ცხადია, ახალგაზრდულისგან განსხვავებაც ვიგრძენი. აქ არიან ლევან ცქიტიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი... მათთვის ერთხელ თქმაც საკმარისია, რათა მიმიხვდნენ, რასაც ვითხოვ.

— ესტონეთ-პორტუგალიაში წასაყვანთა სიას როდის გამოაცხადებთ?

— აფხაზეთისა და საქართველოს კლუბების ნაკრების 23 მაისის თამაშს ველოდები. შესაძლოა, ამ მატჩში კიდევ რომელიმე ფეხბურთელი გამოჩნდეს. და ერთიც, არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ სახელებს — ჩემთვის მთავარია, როგორაა მომზადებული ესა თუ ის ფეხბურთელი კონკრეტულ დღეს.

ილია ნანოგაშვილი

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა II წრე. 26 ტური

ცხრილი უდავო, ზოგიც სადავო

საქართველოს მე-19 სეზონი დასრულდა

ინებეთ ცხრილი, გადაავლეთ თვალი და გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისი იყო ამ ჩემპიონატში. ცხადია, ბევრი მოდავე იქნება, ზოგიერთ გუნდს უკეთესი ადგილი ეკუთვნოდაო... ეკუთვნოდა, არ ეკუთვნოდაზე ლაპარაკი ხომ არასოდეს წყდება...

„დინამო" ჩემპიონთა ლიგაზე; „ზესტაფონი" და „ვიტ ჯორჯია" უეფას თასზე; „მერანი", „ბათუმი" და „დილა" პირველ ლიგაში; „სპარტაკი" პირველლიგელ „გაგრასთან" პლეი ოფში; რჩება მხოლოდ ინტერტოტოზე გამსვლელის საკითხი, რომელიც „ოლიმპს" ეხება, თუმც ჯერ გადაჭრით ვერ გავიგეთ, სურთ თუ არა რუსთაველებს ამ ტურნირზე თამაში.

ახლა კი ბოლო ტურზე, რომელშიც ფრე არ ყოფილა, მინიმალური სხვაობა კი მხოლოდ ერთ მატჩში ვნახეთ. ტურის გოლუხვობაზეც ვთქვათ: 25 გოლი გავიდა, საშუალოდ — 3,6 მატჩში.

სატურნირო მოტივაციის ნაკლებობას და მსაჯის შეცდომებს რა ვუთხარით, თორემ „ზესტაფონი" — „ამერი" უკეთესი თამაში იქნებოდა. ეს გუნდები 16 მაისს თასის ფინალში შეებნენ ერთმანეთს და წაგებული „ამერი" მცირე რევანშის წყურვილით ჩავიდა იმერეთში, თუმც ვერ მოახერხა. პირველი ტაიმის გმირ-ანტიგმირი ფეროელთა ბრაზილიელი შემტევი ჟილვან ვიეირა გახლდათ, ვინაც ჯერ თავად გაიტანა, მერე კი სტუმართა თავდამსხმელ რევაზ გოცირიძეს უპასა და ანგარიში გაათანაბრებინა.

მეორე ნახევარში თემურ მახარაძის გუნდმა მაინც იძალა და 3:1 მოიგო.

რაც შეეხება მსაჯის შეცდომებს, გიორგი კიკაჩეიშვილმა შესვენებამდე ამერელი გოცირიძის წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა, მეორე ნახევარში კი თითო ნაღდი გოლი გაუუქმა გუნდებს — ჯერ უჩა ლობჟანიძეს არ ჩაუთვალა, მერე კობა შალამბერიძეს.

ჩემპიონი „დინამო" ცხრილის ბოლოში მყოფ „დილას" ესტუმრა და 2:0 იკმარა. დინამოელები ძალიან კი ცდილობდნენ, მიხეილ ხუციშვილს კიდევ გაეზარდა პირადი გოლების რაოდენობა, თუმც „ხუცო" გორელებთან გოლგაუტანლადაც გახდა ჩემპიონატის ბომბარდირი.

„ვიტ ჯორჯიამ" მეორე შემადგენლობა ჩაიყვანა ახალციხეში და წააგო კიდეც, თუმც ვიტელებს ამისთვის თავი არ მოუკლავთ — უეფას თასის საგზური იქამდეც მოპოვებული ჰქონდათ. „მესხეთმა" კი ნამდვილად უნდა იამაყოს, რაკილა პირველივე უმაღლესლიგურ სეზონში მეექვსე ადგილს შეწვდა, თანაც, სიმპათიური გუნდია, შეტევაზე დაგეშილი. ამასთან ერთად, მესხები არც ქულების საეჭვოდ გაცემაში ყოფილან ეჭვმიტანილნი — ბარე ორისგან განსხვავებით.

აკი, „მესხეთის" ფეხბურთელებს დაუფასდაც კიდეც: „აზოტის" დირექტორმა, წარმოშობით ახალციხელმა ნუგზარ სარჯველაძემ კლუბს ავტობუსი აჩუქა, „ფლატეს" ჩამომსხმელმა იური კუბლაშვილმა კი მოთამაშეებს 20 ათასი ლარი გადასცა.

ხოლო რას ნიშნავს ფულადი პრემია, გუშინ ბოლნისში უნდა გენახათ: „სიონს" თბილისურ „მერანთან" მინიმუმ ხუთბურთიანი მოგების შემთხვევაში აღუთქვეს პრემია და ფეხბურთელებმაც თავი გაიგიჟეს, 4:0-ზე ბოლნისელთა სათადარიგოთა სკამზე არავინ იჯდა. ნერვიულად ელოდნენ მეხუთე გოლს და ბოლო წუთზე გაიხარეს კიდეც...

„სიონი" მერვე ადგილზე გავიდა და „ოლიმპის" საბოლოო უარის შემთხვევაში, ინტერტოტოს თასზე ითამაშებს.

'საჩემპიონო გუნდი უნდა გავაკეთოთო, ამბობენ ბოლნისელები და, ვნახოთ...

„სიონს" გაუსწრო და მეშვიდეზე გავიდა ზუგდიდის „მგლები", რომელიც ლევან კუტალიას შესანიშნავი თამაშით და გოლებით უკვე მე-19 წუთზე 2:0-ს უგებდა „ბორჯომს". და კურორტელები? მათ მეორე წრეში თითებზე ჩამოსათვლელი ქულები აიღეს, ბოლო ორ ტურში კი სულაც 9 გოლი გაუშვეს.

რატი ალექსიძემ ისევ იგოლავა, „ლოკომოტივმაც" მოიგო და საპლეიოფო ადგილზე „სპარტაკი" დატოვა, რომელმაც 0:1 დათმო „ოლიმპთან". ცხინვალელებს სასწაულის რომ არ სჯერათ (პლეი ოფს მაშინ ასცდებოდნენ, თუ მოიგებდნენ და „ლოკომოტივი" „ბათუმთან" ვერ იმარჯვებდა), იქიდანაც ჩანდა, რომ ძირითადი შემადგენლობის 8 ფეხბურთელი დაასვენეს.

მოკლედ, აუტსაიდერთა ზონაში, ალბათ, ყველაზე ძლიერი „სპარტაკი" 24 მაისს პირველლიგელ „გაგრას" შეებრძოლება უმაღლესი ლიგის ადგილისთვის.

ილია ნანოგაშვილი

ზესტაფონი 3:1 ამერი
მგლები 4:2 ბორჯომი
მესხეთი 2:0 ვიტ ჯორჯია
სიონი 5:0 მერანი
ლოკომოტივი 4:1 ბათუმი
დილა 0:2 დინამო
ოლიმპი 1:0 სპარტაკი



მიხეილ ხუციშვილი

დინამო	26	23	1	2	67:18	70
ვიტ ჯორჯია	26	19	3	4	45:14	60
ზესტაფონი	26	18	5	3	56:16	59
ოლიმპი	26	16	4	6	26:16	52
ამერი	26	15	3	8	48:27	48
მესხეთი	26	11	6	9	29:30	39
მგლები	26	10	3	13	27:33	33
სიონი	26	9	5	12	34:35	32
ბორჯომი	26	9	4	13	32:39	31
ლოკომოტივი	26	7	6	13	27:35	27
სპარტაკი	26	5	8	13	15:28	23
მერანი	26	6	1	19	15:54	19
ბათუმი	26	4	4	18	16:51	16
დილა	26	1	5	20	12:55	8

ბომბარდირები

16 -	მ. ხუციშვილი	დინამო
13 -	დ. ტატანაშვილი	ამერი
12 -	გ. მერებაშვილი	დინამო
	ჟ. ვიეირა	ზესტაფონი



გამოცანა ექონიას ერგება

კაპიტანი (გუნდი)	ჩემპიონი	პლეი ოფი	დაქვეითება
გიორგი დავითნიძე (ამერი)	დინამო	სპარტაკი	ბათუმი, დილა, ლოკომოტივი
ნიკა გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	დინამო	სპარტაკი	მერანი, დილა, ბათუმი
ლაშა ჯანგიძე (მერანი)	დინამო	სპარტაკი	დილა, ბათუმი, მგლები
დავით სვანიძე (სიონი)	ზესტაფონი	მერანი	დილა, ბათუმი, ლოკომოტივი
პაატა გვირჯიშვილი (მესხეთი)	ზესტაფონი	ლოკომოტივი	დილა, ბათუმი, მერანი
ზურაბ ექონია (მგლები)	დინამო	სპარტაკი	მერანი, ბათუმი, დილა
დავით დიღმელაშვილი (დინამო)	დინამო	სპარტაკი	ბათუმი, დილა, მერანი
გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი)	ზესტაფონი	—	—
სოსო გრიშიკაშვილი (ბორჯომი)	დინამო	სპარტაკი	ბათუმი, დილა, მერანი
ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)	ვიტ ჯორჯია	მერანი	ბათუმი, დილა, სპარტაკი
რევაზ ქემოკლიძე (სპარტაკი)	ზესტაფონი	სიონი	მერანი, ლოკომოტივი, ბათუმი
ბეგლარ თედორაძე (ბათუმი)	დინამო	ლოკომოტივი	დილა, სპარტაკი, მერანი
გიორგი ბალაშვილი (დილა)	დინამო	სპარტაკი	ბათუმი, მერანი ლოკომოტივი
მიხეილ მახვილაძე (ოლიმპი)	დინამო	ბათუმი	მერანი, დილა, სპარტაკი

ზურაბ ექონია

კაპიტნებში მგელმა იკაპიტნა

ვნახოთ, ვისი გამართლდება... ასე დავასრულეთ გამოკითხვის წინათქმა, რომელიც საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებისას გამოვაქვეყნეთ. იქნებ გახსოვთ კიდეც, მაშინ უმაღლესი ლიგის თოთხმეტივე გუნდის კაპიტანს ასეთი კითხვებით მივმართეთ: ვინ გახდება ჩემპიონი, რომელი გუნდი ითამაშებს პლეი ოფში და რომელი გუნდები დატოვებენ უმაღლეს ლიგას?

გამოკითხულ კაპიტანთაგან სრული პასუხისგან მხოლოდ ზესტაფონელმა გრიგოლ ჭანტურიამ შეიკავა თავი, მან ოდენ შესაძლო ჩემპიონი თქვა, დანარჩენებმა კი სამივე კითხვა „შეავსეს“.

იმ გამოკითხვის შემდეგ ზუსტად სამი თვე გავიდა, ჩემპიონატი დამთავრდა და კაპიტნების გულთმისნობაზე პასუხიც საბოლოო სატურნირო ცხრილით მივიღეთ.

ისე, ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა იმგვარი გახლდათ, კაპიტნებს დიდი არჩევანის საშუალება არც ჰქონდათ. შესვენების შემდეგ საპრიზო სამეულში სულ ერთი გადაადგილება მოხდა — „ზესტაფონმა“ „ვიტ ჯორჯიას“ გაუცვალა მეორე ადგილი, ხოლო მაშინდელი ლიდერი „დინამო“ ბოლომდე ლიდერად დარჩა და ჩემპიონობაც იზეიმა.

ცოტა ჩახლართული იყო ვითარება გასავარდნთა და საპლეიოფო ზონაში. „ბათუმი“ და „დილა“ პირველ ლიგაში დაქვეითებას ისეც ვერ გადაურჩნენ, ხოლო ძველმა აუტსაიდერმა „ლოკომოტივმა“ გაზაფხულზე იყოჩაღა, გამოცდილი და კარგი ფეხბურთელები შეიმატა და ბოლო ტურში, სწორედ „ბათუმთან“ მოგებით, თავი პლეი ოფსაც დააღწია. საბოლოოდ „ლოკომოტივი“ მე-10 ადგილზე წამოსკუპდა და „სპარტაკი“ და „მერანიც“ უკან მოიტოვა.

მე-19 ჩემპიონატის პირველი წრისა და საბოლოო ცხრილების შედარება აქვე შეგიძლიათ, აქვეა კაპიტანთა თებერვლის გამოკითხვის შედეგებიც.

მართლაც გულთმისანი ზუგდიდის „მგლების“ კაპიტანი ზურაბ ექონია გამოდგა, მან ჩემპიონის ვინაობაც ხომ თქვა და ამის გარდა, ჩამორჩენილი გუნდებიც ისეთი თანმიმდევრობით ჩამოთვალა, როგორც ეს საბოლოო ცხრილმა დაალაგა. ჩემპიონი, პლეი ოფში მოხვედრილი და უმაღლესიდან გავარდნილები „ლოკომოტივის“, „ბორჯომისა“ და „დინამოს“ კაპიტნებმაც გამოიცნეს, მაგრამ ექონიასავით ათიანშიც ვერ მოარტყეს.

ბონგა ინასარიძე

პირველი წრის ცხრილი

დინამო	13	12	0	1	35:4	36
ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
ბორჯომი	13	7	4	2	17:9	25
ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
ამერი	13	7	0	6	21:16	21
მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
მგლები	13	5	0	8	14:19	15
სიონი	13	4	3	6	16:17	15
სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
მერანი	13	3	1	9	7:23	10
ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
დილა	13	1	3	9	7:24	6
ბათუმი	13	1	1	11	5:28	4

ჩემპიონი	
დინამო	9
ზესტაფონი	4
ვიტ ჯორჯია	1
პლეი ოფი	
სპარტაკი	7
მერანი	2
ლოკომოტივი	2
სიონი	1
ბათუმი	1
დაქვეითება	
დილა	11
ბათუმი	11
მერანი	9
ლოკომოტივი	4
სპარტაკი	3
მგლები	1

აფხაზეთმაც საეროვნულო გამოაცხადა

ქეცბაიაც, ცაავაც და სხვებიც...

23 მაისს ეროვნულ სტადიონზე აფხაზეთისა და საქართველოს კლუბების ნაკრებები შეერკინებიან ერთმანეთს. ამაზე უკვე ვწერდით და ისიც გეცოდინებათ, რომ აფხაზეთის ნაკრებში თემურ ქეცბაია და გრიგოლ ცაავაც ითამაშებენ, ხოლო გუნდს „ამერის“ თავკაცი გიორგი ჩიხრაძე გაწვრთნის.

აფხაზეთის ნაკრები: *ზურაბ ქვაჩახია (ამერი), ლაშა ძაგანია (მერანი, მარტვილი); ზურაბ გვაძაბია (ამერი), დენის დობროვოლსკი (ამერი), ოლეგ გველესიანი (დინამო), ლევან კაკუბავა (ბორჯომი), ზაზა სახოკია (ვიტ ჯორჯია), ლექსო აბაშიძე (გაგრა), ზაზა ქაჯაია (გაგრა), ზურაბ მუშკუდიანი (მესხეთი), გიორგი ქუცურუა (ლოკომოტივი), ვიტალი დარასელია (ლოკომოტივი), გიორგი გულორდავა (ლოკომოტივი), გოგი ფიფია (ზესტაფონი), ირაკლი შარანგია (ზესტაფონი), თენგიზ უგრეხელიძე (ულისე, სომხეთი), კონსტანტინე დარსანია (უგუნდო), თემურ ქეცბაია, გრიგოლ ცაავა.*

საქართველოს კლუბების ნაკრები: *გიორგი ლომაია (ოლიმპი), გიორგი ლორია (დინამო), გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (მერანი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით ოდიკაძე (დინამო), გიორგი მერებაშვილი (დინამო), მიხეილ ხუციშვილი (დინამო), ლევან ცქიტიშვილი (ლოკომოტივი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი), დავით დევდარიანი (ოლიმპი), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი).*

კლუბების ნაკრებს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი ესტონეთ-პორტუგალიასთან სათამაშოდ. შესაბამისად, მათ პეტარ სეგრტი, სერგო კოტრიკაძე და სერგო კუტივაძე უთავკაცებენ, სავარაუდოდ, კლუბების ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ დაემატება.

შეგახსენებთ, მატჩი 18 საათზე დაიწყება.

ილია ნანობაშვილი

აფხაზეთის ფეხბურთის 100-წლისთავი „ეროვნულზე“ აღინიშნება

სანამ ზარია, მანამ მამობა

ლუგანსკის „ზარია“ შვებულებაში გავიდა და დასასვენებლად ემზადებიან გუნდის ქართველი ლეგიონერებიც — გიორგი ციმაკურიძემ და ლადო ბურდულმა „ზარია“ უმაღლეს ლიგაში დატოვეს და სეზონის მთავარი მიზანიც შეასრულეს.

ციმაკურიძე ბოლოსლა შეუერთდა ლუგანსკელებს, თუმცა ძირითადში მოხვედრა არ გაჭირვებია და ერთი გოლითაც შეეწია ახალ გუნდს.

შვებულებაში გასვლამდე ქართველმა მცველმა უკრაინელ ჟურნალისტებს ეს უთხრა: „მთავარია, ამოცანა შევასრულეთ და უმაღლეს ლიგაში დავრჩით. ახალ სეზონში უკეთესზე ვიფიქრებთ. შვებულებას შინ გავატარებ — მეუღლე დღე-დღეზე იმშობიარებს, ამიტომ მის გვერდით უნდა ვიყო. დავრჩები თუ არა „ზარიაში“, რამდენიმე დღეში გაირკვევა. ზუსტად ჯერ ვერაფერს გეტყვით...“

ბახა შალამბერიძე

გიორგი ადამიაში რუსები ნახევარ მილიონს იხდიან

რუსეთის პირველი დივიზიონის ერთ-ერთი კლუბი, რომლის სახელიც ჯერ არ ხმაურდება, მზად არის, ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველი გიორგი ადამიას სანაცვლოდ ნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ეს ინფორმაცია აზერბაიჯანულმა „აზერისპორტმა“ გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ ადამიას „ნეფთჩისთან“ კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რას შესთავაზებს ხელმძღვანელობა ქართველ ფეხბურთელს.

ერთი კვირის წინ ისიც ითქვა, გიორგი ადამიას ბაქოს „ინტერი“ ეპატიჟებაო.

ბახა შალამბერიძე

ჩუკოტკელები და ლონდონელები



რით შეიძლება მოხიბლო ადამიანი, რომელსაც ამქვეყნად აბსოლუტურად ყველაფერი აქვს? თუ ეს ადამიანი „ჩელსის“ მაპატრონე რომან აბრამოვიჩია, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლითა და გადამწყვეტი თამაშის მის მშობლიურ მოსკოვში დანიშვნით, არა?

პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი და ლიგის თასი ძალიან კარგია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა მაინც სხვაა, უდიდესი ევროპული თასი სხვანაირად ბრწყინავს.

ამბობენ, რომ საფეხბურთო კლუბის შეძენის იდეა აბრამოვიჩს თავში 2003 წელს, მადრიდის „რეალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თრილერის ცქერისას მოუვიდა, რის შემდეგაც იყო ლონდონური კლუბის შესაძენად გაღებული 140-მილიონიანი პირველადი ხარჯი და მას მოყოლებული 450-მილიონიანი ინვესტიცია.

და, როგორ მიდის აბრამოვიჩის საქმეები მინდორს გარეთ? 2007 წელს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მისი ძვირადღირებული და პრესა-ტელევიზიით კარგად შეფუთული განქორწინება გახლდათ, ახლა კი ინტერესს ყოფილ ბიზნეს-პარტნიორთან, ბორის ბერეზოვსკისთან დავა იწვევს — „ჩელსის“ პატრონი ძველი მეგობრისგან კომპენსაციად 2 მილიარდ გირვანქას ითხოვს.

როგორც BBC-ს მიმომხილველი ენდრიუ მაკკინზი (ავტორი, რომლის სტატიის თავისუფალ თარგმანსაც წარმოადგენს ჩვენი წერილი) ამბობს, მეგობრებში დაჩაგვრის ეს ამბავი ლამის შეგაცოდებს კაცს, რომელიც სიმდიდრით ევროპაში მერვეა, აქვს სამი იახტა, რამდენიმე ვერტმფრენი, რამდენიმე ტყვიაგაუმტარი ლიმუზინი და ტოპ-მოდელი გელფრენდი.

თუმცა, დავუბრუნდეთ „ჩელსის“. გასულ აგვისტოში აბრამოვიჩმა თანამდებობიდან დაითხოვა ჟოზე მაურინიუ, რომლის ადგილასაც თავისი ახლო მეგობარი ავრაამ გრანტი დანიშნა და ამან მეპატრონეს „ლურჯების“ ფანებთან ურთიერთობა გაუფუჭა.

რატომ მოხსნა აბრამოვიჩმა მაურინიუ? როგორც ამბობენ, ულამაზო სტილის გამო. პორტუგალიელ მწვრთნელს საქმისადმი ასეთი მიდგომა ჰქონდა: მოიგეთ, რადაც უნდა დაგიჯდეთ. აბრამოვიჩის რწმენით, სწორედ ასეთი მიდგომის გამო ჰყავდა „ჩელსის“ ინგლისში ცოტა მხარდამჭერი, არადა ოლიგარქს ნამდვილად არ სურდა, მისი კლუბი ყიფილიყო ყველაზე ხარჯიანი და იმავდროულად ყველაზე უსიმპათიო.

ახლა კი რუსეთში გადავინაცვლოთ, სადაც აბრამოვიჩზე ადამიანები... მაინცდამაინც დიდი აზრისანი არ არიან. აი, მაგალითად, რა უთხრა BBC-ს ზემოხსენებულ ჟურნალისტს „რადიო თავისუფლების“ სპორტულმა მიმომხილველმა იგორ შვეიცერმა:

„ბატონი აბრამოვიჩი წინააღმდეგობრივი ფიგურაა და არ ვარ დარწმუნებული, რომ ის უბრალო ხალხს უყვარს. ამ მილიონერთა უმეტესობამ არსაიდან წამოჰყო თავი და ამით ფართო მასები გააკვირვა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ღარიბია და მას ხალხის ფულით დაგროვებული ასეთი სიმდიდრე აღიზიანებს“.

ენდრიუ მაკკინზის სხვა რესპონდემტებმა კი თავიანთი ვინაობის გამხელა არ ინდომეს და აბრამოვიჩზე ლაპარაკისას ისეთი სიტყვები ახსენეს, როგორიც არის „საზიზღარი“, „საძულველი“ და ასე შემდეგ. უბრალო თანამემამულეები მას ქვეყნის სიმდიდრეთა გაყიდვაში სდებენ ბრალს.

ისე კი, რა-რა და რომან აბრამოვიჩი რომ საჯარო ფიგურაა, ფაქტია. მისი პოპულარობა ძირითადად, რასაკვირველია, პრემიერლიგის კლუბის მეპატრონეობამ განაპირობა, მაგრამ, პოპულარობის მიუხედავად, ის მაინც იდუმალებით მოცულ ადამიანად რჩება.

რომან აბრამოვიჩი იშვიათად აძლევს ინტერვიუს, გველნაკბენივით გაურბის ხალხში გამოჩენას და, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ხუთი წელიწადია, წერენ და ლაპარაკობენ, არავინ იცის მისი პიროვნული თვისებების ამბავი. როგორი ხასიათის კაცია „ჩელსის“ მეპატრონე? ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს.

ის, რომ აბრამოვიჩს მთელი ცხოვრება უცნაურად აქვს გასაიდუმლოებული, ბევრს უძლიერებს ეჭვს, რომ მისი ბიზნესი — რომლის შესახებ დეტალურად, ცხადია, არავინ არაფერი იცის — საეჭვოა და სიყალბესთან არის დაკავშირებული.

გენადი ფიოდოროვი, „რეიტერის“ მოსკოვის ბიუროს სპორტული მიმომხილველი:

„მეტი წილი, რასაც მასზე პრესაში წერენ, ჭორებზეა დაფუძნებული, რადგან არავინ იცის, სინამდვილეში რა ხდება მის ბიზნესში. ის ხომ არავისთან არის ახლოს. მეორე მხრივ კი, როდესაც ადამიანი იმდენ ფულს შოულობს, რამდენსაც აბრამოვიჩი, მასზე ამბობენ, რომ გამჭრიახი გონების პატრონია და ჩინებული ბიზნესმენია“.

აბრამოვიჩის პრესმდივანი ჯონ მენი, რომელსაც რუს ოლიგარქთან ხუთწლიანი ურთიერთობა აკავშირებს, ამბობს, რომ მეტი წილი, რაც მის შეფზე პრესაში იწერება, მართლა ტყუილია.

„ძალიან ჭკვიანი, იუმორის კარგი გრძნობით, ფეხბურთის ფანი“ — აი, ასე ახასიათებს მენი აბრამოვიჩს და ასეთ წინადადებას დასძენს:

„ის უბრალოდ რომანია, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი“.

რუსეთში აბრამოვიჩი „ფეხბურთის ეროვნულ აკადემიას“ პატრონობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელის, გუს ჰიდინკის ხელფასს კი არ იხდის, არამედ ყმაწვილთა საფეხბურთო პროგრამის ფარგლებში 50 მოედანი და საწვრთნელი კომპლექსი ააშენა.

კიდევ, ომსკის ჰოკეისტთა გუნდს, „ავანგარდს“ ახალი საწვრთნელი ცენტრი და სათამაშო დარბაზი სწორედ რომან აბრამოვიჩმა აუგო.

მაგრამ ამ ყველაფერს ბევრი არად დაგიდევს და ჩუკოტკის გუბერნატორს გაავებული აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან „ჩელსი“, ანუ, სხვა სიტყვებით, არარუსული კლუბი იყიდა და ფულს მას ახარჯავს....

თუმცა, აბრამოვიჩის საბედნიეროდ, დედამიწაზე არის ადგილი, სადაც, „ბითლზის“ ცნობილი სიმღერის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, ფულით სიყვარულის ყიდვა შეიძლება — money can buy you love. ეს ადგილი ჩუკოტკაა, სადაც აბრამოვიჩი 2000 წლიდან გუბერნატორობს.

სად არის ჩუკოტკა? მოსკოვიდან ცხრა სასაათო ზოლის იქით. ისეთ ადგილას, რომელსაც პრემიერლიგურ ცხოვრებასთან არანაირი საერთო არ აქვს. როგორც ამბობენ, ამ რეგიონში ცხოვრების დონის ასამაღლებლად აბრამოვიჩი ასობით მილიონ დოლარს ხარჯავს.

მენი: „რომანმა ამ პროვინციაში მცხოვრები 50 ათასი ადამიანის ცხოვრება საფუძვლიანად შეცვალა. მან ააშენა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო, საბავშვო ბაღები, სკოლები, ახალგაზრდული ცენტრი, აეროპორტი და თვით კინოთეატრი სტერეობგერით“.

დიახ, აბრამოვიჩის ფულმა 5 ათასი ჩუკოტკელის ცხოვრება „სტემფორდ ბრიჯის“ 40 ათასი ქომაგის ცხოვრებასავით შეცვალა.

მაშ რატომ არ ესწრებოდა აწ უკვე გასულ სეზონში რომან აბრამოვიჩი თავისი გუნდის თამაშებს? მენი ამბობს, რომ ყველაფერი, რასაც ამბობენ, სისულელე და ტყუილია. სიმართლე ერთია — რუსეთში არჩევნების წელი იყო და აბრამოვიჩი საარჩევნო საქმეებით გახლდათ დაკავებული.

პაპუნა კედია

აბრამოვიჩს რობინიო უნდა

„ჩელსი“ მადრიდის „რეალზე“ მორიგი სატრანსფერო იერიშის მიტანას აპირებს. „რადიო მარკას“ ცნობით, რომან აბრამოვიჩის კლუბი მზადაა, სამეფო თეთრების ბრაზილიელ რობინიოში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ესპანეთის სატახტოში კი რობინიოს გასხვისება ფიქრადაც არ გაუვლიათ. „რეალის“ მესვეურნი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ „რობი“ სამეფო გუნდის მომავლის პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილეა და მასთან ახლა განშორებაც ჭკვიანური საქციელი არ იქნება. ყოველი შემთხვევისთვის, ესპანურმა გრანდმა ფეხბურთელს ახალი, უკეთესი კონტრაქტი შესთავაზა და პასუხს უახლოეს დღეებში მოელის.

მადრიდელთა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა კი „ონდა სეროსთან“ ინტერვიუში რობინიოსა და დიარას „ბერნაბეუდან“ გადაბარგების ვარიანტები გააბათილა: „ისინი ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან. ნამდვილად არ მესმის, რობინიოს და დიარას „რეალიდან“ გაშვება რატომ უნდა გვსურდეს?“

ჟურნალისტებმა, ცხადია, რობინიოსაც ჰკითხეს, „ჩელსისთან“ დაკავშირებით რას აპირებო. „შესანიშნავი იქნება, „რეალში“ კიდევ 10 წლით თუ დავრჩები. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ“ — მიუგო ბრაზილიელმა და ეს მაშინ, როცა „რობი“ ახლახან დასრულებული სეზონის ბოლო მატჩებში სათადარიგო გახლდათ.

ლონდონელთა შემოტევამ კი „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონიც ააფორიაქა: „რობინიო ტრანსფერგარეშეა. როცა მის შესახებ ოფიციალური შემოთავაზებით მოგვმართავენ, ვეტყვით, რომ ბრაზილიელი არ იყიდება“.

„რეალის“ მოიერიშეს მხოლოდ „ჩელსი“ როდი გადაურევია, „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ჩასაფრებულნი არიან. თუ კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერის“ შეფმა, სერ ალექს ფერგიუსონმა, „რეალში“ მაინც გაუშვა, ამას სატრანსფერო გარიგებაში რობინიოს ჩართვის შემდეგ თუ გააკეთებს.

ლადო ხოფერიძე

დონადონის ავანტიურა

როგორც იცით, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, 2010 წლის ზაფხულამდე. თუმც, შეთანხმება მოიცავს პუნქტს, რომლის თანახმადაც მხარეებს, სურვილის შემთხვევაში, უპრობლემოდ შეუძლიათ ურთიერთობის გაწყვეტა ევრო 2008-ის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

„დიდი მადლობა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯანკარლო აბეტეს ჩემი შრომის დაფასებისა და გამოცხადებული ნდობისთვის. თუ ევროპის ჩემპიონატზე ცუდად ვითამაშებთ, თავადაც წავალ, ამაზე ზედმეტი ლაპარაკი საჭირო არ არის“ — თქვა დონადონიმ.

ჯანკარლო აბეტე: „ჩვენი შეთანხმება გამოხატავს, რომ პატივს ვცემთ და ვაფასებთ დონადონის შრომას. ერთმანეთთან კარგი, ჯენტლმენური ურთიერთობა გვაქვს და გვსურს, თანამშრომლობა ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც გავაგრძელოთ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს“.

დონადონიმ თავის 24-კაციან სიაში „მილანის“ ვეტერანი ფორვარდის, ფილიპო ინძაგის გარდა, ფაქტობრივად, ყველა ის ფეხბურთელი შეიყვანა, ვისაც ფანებისა და სპეციალისტების დიდი ნაწილი ითხოვდა. თუმცა, ზოგიერთის აზრით, ანტონიო კასანოს გამოძახება მაინც სარისკო იყო. აქაოდა, თუ „ხულიგანმა“ თავისებურად აურია, ნაკრებს საქმე კარგად არ წაუვაო, მაგრამ „სკუადრა აძურას“ თავკაცი სხვაგვარად ფიქრობს.

„ანტონიოს გამოძახება რისკი არ არის, კმარა ამაზე ლაპარაკი. ის 16, 17 ან 18 წლის აღარ არის, ის პერიოდი უკან მოიტოვა. კასანოს ბრწყინვალე შანსი აქვს, მან იცის, რას ნიშნავს ამ სიაში მოხვედრა და მჯერა, თავს არ დაზოგავს. არ მაინტერესებს მისი წარსული, ახლა ყველაფერი თავიდან იწყება. რაც შეეხება დელ პიეროს, მას არ გავუოცებივარ, ისედაც ვიცოდი, რაც შეეძლო. უბრალო, ალექსს გარკვეული ფიზიკური პრობლემები ჰქონდა, რომლებიც გადალახა და კვლავ ფორმაშია — განაცხადა დონადონმ.

ანტონიო კასანო: „დაახლოებით ერთი წლის წინ „სამპდორიას“ ფეხბურთელად წარმადგინეს. მაშინ ვთქვი, რომ ჩემი მიზანი ფორმის აღდგენა და ნაკრებში ადგილის დაბრუნება იყო. ეს შევასრულე კიდეც და ძალიან ბედნიერი ვარ. უდიდეს მადლობას ვუხდი თანაგუნდელებსა და „სამპდორიას“ ყველა ხელმძღვანელს. ასევე ფანებს, რომლებმაც ძალიან თბილად მიმიღეს. მადლობა დონადონისაც, ჩვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა და ბევრჯერ ვთქვი, გამომიძახებს თუ არა, ეს ჩვენს ურთიერთობაზე არ იმოქმედებს-მეთქი. იმედია, ნაკრებისთვის სასარგებლო ვიქნები და გულშემატკივრებს გავახარებ“.

მოგეხსენებათ, 28 მაისს დონადონიმ დასახელებულ 24 კაცს ერთი უნდა მოაკლოს, რომელსაც კიდევ ორი, ჯერ უცნობი მოთამაშე დაემატება და ისინი რეზერვში გადაინაცვლებენ და ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებიან, თუ მის დაწყებამდე 23 ძირითადი ფეხბურთელიდან რომელიმე ტრავმას მიიღებს.

„ის ერთი“, სავარაუდოდ, ფიორენტინელი რიკარდო მონტოლივო იქნება, რაც ნიშნავს, რომ დონადონი ავსტრია-შვეიცარიაში 6 ნომინალურ თავდამსხმელს წაიყვანს... ასეა თუ ისე, ფაქტია, „ლივორნოს“ ყოფილი მწვრთნელი გარკვეულ ავანტიურაზე მიდის.

„ეს ჩემთვის მოულოდნელობა იყო და ძალიან გახარებული ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა საბოლოო განაცხადში დავრჩე. ჩემთვის ევროპის ჩემპიონატზე უბრალოდ ყოფნაც ბევრის მომცემი იქნება. მიუხედავად დატვირთული სეზონისა, გადაღლილი არ ვარ“ — თქვა მონტოლივომ.

ესეც უკმაყოფილო ფილიპო ინძაგი: „როგორც ჩანს, ჩემი ტრავმა საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ნაკრებში ვერ მოვხვედრილიყავი და ალბათ არც დარეკვა დავიმსახურე, ორი სიტყვის სათქმელად. ვწუხვარ, „სკუადრა აძურას“ მთელი გულით წარმატებას ვუსურვებ“.

დასახელებული ოცდაოთხეული კვირას კოვერჩანოში ვარჯიშს დაიწყებს, 28 მაისს კი დონადონი საბოლოო „განაჩენს“ გამოიტანს.

გიორგი ძაძაბაძე

ანტონიო კასანო
ნაკრებში ბრუნდება

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე



ვსევოლოდ ბობროვი

ეკტორ კასტრო



ელენიო ერერა

ლეგენდა №32
ფეხბურთელი და ჰოკეისტი...

1922 წლის 1 დეკემბერს დაბადებული ვსევოლოდ ბობროვი ზოგადად სპორტში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. იგი ნიჭიერი გახლდათ როგორც ფეხბურთში, ასევე ყინულის და ბალახის ჰოკეიში. ოლიმპიადების ისტორიაში ბობროვი ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც 1952 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი გახლდათ, 1956 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე კი ყინულის ჰოკეისტთა ნაკრებისა.

მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ ბობროვი სერიოზულად მოეკიდა სპორტულ კარიერას. ფეხბურთელად მან ოთხჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და ორჯერაც — თასი. ასევე ორჯერ გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. სულ, 115 მატჩში მან 99 გოლი გაიტანა.

1945 წელს მოსკოვის „დინამომ“ თავის ბრიტანულ ტურნეში ბობროვი მიიწვია და ვსევოლოდმაც თავი გამოიჩინა, მან ექსვი გოლი გაიტანა ისეთ გუნდებთან შეხვედრაში, როგორებიც „ჩელსი“, „არსენალი“ და „რეინჯერსი“ არიან. 1952 წლის ოლიმპიადაზე კი მან სამ მატჩში ხუთი გოლი შეაგდო, აქედან სამი იუგოსლავიასთან შეხვედრაში გაიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ბობროვისთვის პირველი სპორტის სახეობა ფეხბურთი გახლდათ, ჰოკეიში უფრო წარმატებული გამოდგა. მისმა კლუბებმა შვიდჯერ მოიგეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ბობროვმა 130 შეხვედრაში 254-ჯერ გამოიჩინა თავი. ბალახის ჰოკეიში ბობროვი ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ნაკრებთან ერთად მან 1956 წლის ოლიმპიადაზე იმარჯვა და ასევე ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, სამჯერ კი ევროპის. სულ, საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებში ბობროვმა 59 შეხვედრაში 89-ჯერ იხეირა.

სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ, ვსევოლოდ ბობროვი ორივე სპორტში მწვრთნელად მუშაობდა და ასევე წარმატებით, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ყინულის ჰოკეისტთა ნაკრების თავკაცად. ბობროვი 1979 წლის 1 ივლისს მოსკოვში გარდაიცვალა.

ლეგენდა №33
ცალხელა

1904 წლის 29 ნოემბერს ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში დაბადებული ექტორ კასტრო 13 წლის იყო, როცა სამწუხარო ინციდენტი შეემთხვა — ელექტროხერხით მუშაობისას მარჯვენა ხელი დაკარგა.

ამ ტრაგედიის მიუხედავად, კასტრო ჩინებულ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. ცხადია, მეტსახელიც ბავშვობიდან მოჰყვება — „ელ მანკო“ ანუ ცალხელა.

ექტორ კასტრომ კარიერა 1923 წელს „ნასიონალში“ დაიწყო, რომელთან ერთადაც სამჯერ გახდა ურუგვაის ჩემპიონი — 1924, 1933 და 1934 წლებში.

სახელი ეროვნულ ნაკრებთან ერთად გაითქვა. „ცალხელამ“ 1928 წელს ურუგვაისთან ერთად ოლიმპიადა მოიგო, 1926 და 1935 წლებში კოპა ამერიკა. 1930 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

1930 წლის მუნდიალზე მან ურუგვაელთა პირველი გოლი გაიტანა ტურნირზე. კასტრომ თავი არგენტინასთან ფინალშიც გამოიჩინა, როცა მეტად მნიშვნელოვანი ბურთი შეაგდო.

ცალხელა ფეხბურთელმა, ვის თამაშსაც ხალხი აღფრთოვანებაში მოჰყავდა, კარიერა 1936 წელს დაასრულა. მალე მან მწვრთნელობა დაიწყო და ეს საქმეც წარმატებულად გამოუვიდა. 1939 წელს კასტრომ „ნასიონალის“ თავკაცის თანაშემწის რანგში მოიპოვა ურუგვაის ჩემპიონობა, შემდეგ კი თავად გახდა კლუბის მთავარი მწვრთნელი და „ნასიონალს“ ჩემპიონატი 1940, 1941, 1942, 1943 და 1952 წლებში მოაგებინა.

კასტრო 1965 წლის 15 სექტემბერს, 55 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლეგენდა №34
ერერას პროგნოზი

ინგლისში გამართული 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ცნობილმა არგენტინელმა მწვრთნელმა ელენიო ერერამ თქვა: „იტალიელებს ბედმა გაუღიმა. მათ მეტოქეებს, ჩილესა და საბჭოთა კავშირს კარგად ვიცნობ. ვფიქრობ, „სკუადრა აძურა“ ჯგუფში პირველ ადგილზე ქულების დაუკარგავად გავა. ჩილელები უცხო მინდორზე მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობენ. აი, საბჭოელებზე კი ტურნირის მნიშვნელობა ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედებს და ისინი საკუთარ შესაძლებლობებს სრულად ვერ გამოავლენენ“.

შეგახსენებთ, რომ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული იტალია იმ მუნდიალის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა და ერერას პროგნოზიც ოპტიმისტური გახლდათ, მაგრამ... მას საერთოდ არ უხსენებია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები, რომელთანაც „სკუადრა აძურამ“ ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩი წააგო და სენსაციურად ჩარჩა ჯგუფში.

იუვე ძლიერდება

ამაური

პალერმოელი ამაურის „იუვენტუსში“ გადასვლას თითქმის აღარაფერი უკლია. ტრანსფერის ოფიციალურად გამოცხადებას დღეღეზე ელიან.

აპენინური პრესის ცნობით, სიცილიური კლუბი ფორვადში 12 მილიონ ევროსა და ანტონიო ნოჩერინოს მიიღებს, ასევე, ახალგაზრდა დავიდე ლანძაფამეზე სანახევრო უფლებებს.

თავდაპირველად „პალერმო“ სებასტიან ჯოვინკოს, ვინჩენცო იაკვინტას ან რაფაელე პალადინოს ითხოვდა. თუმცა პირველი ორის გაშვება „იუვენტუსმა“ არ ისურვა, პალადინომ კი თავად იუარა სიცილიაზე გადაბარგება. საბოლოოდ, მხარეები ნოჩერინოზე შეთანხმდნენ.

„სიამოვნებით გადავალ „პალერმოში“. „იუვენტუსი“ დიდი კლუბია, მაგრამ ახლა კარიერაში ისეთი პერიოდი მაქვს, რომ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქრო. რეგულარულად თამაში მჭირდება და ვფიქრობ, „პალერმო“ იდეალური ვარიანტია. იქ თბილი ხალხია, სტადიონი ივსება და კარგი ატმოსფეროა“ — თქვა ახალგაზრდა ნახევარმცველმა.

ამბობენ, ამაური ტურინელებთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებსო. რაც შეეხება ხელფასს, ახლახან დასრულებულ სერია A-ში 15 გოლის გამტან ფორვარდს სეზონში 4 მილიონი ევრო მოუთხოვია, „იუვე“ 3,5 მილიონს სთავაზობდა, ბოლოს კი 3,8-ზე შეთახმდნენო.

პარალელურად, „ბებერი ქალბატონი“ სხვა რგოლების გაძლიერებაზეც ფიქრობს. დაცვაში „ბიანკონერის“ უეინ ბრიჯის მოყვანა მოსდომებია. 27 წლის ჩელსელით „ლივერპული“, „ვესტ ჰემი“ და „ტოტენჰემიც“ დაინტერესებულნი არიან.

ნახევარდაცვაში კი „იუვენტუსს“ ხაბი ალონსოს მოყვანა უნდა და, იტალიური პრესის ინფორმაციით, მიზანთან ახლოსაა. ტურინელთა გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი ლივერპულში გაფრენილა და მოლაპარაკებებს იქ აგრძელებს. მთავარი პრობლემა ფეხბურთელის ფასია, „ბიანკონერი“ 17 მილიონს იხდის, ხოლო მერსისაიდელებს 21 უნდათ.

26 წლის ალონსოს „ენფილდის“ ბინადრებთან კონტარქტი 2012 წლამდე აქვს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ „იუვენტუსმა“ უკვე იყიდა „ლივერპულისგან“ ერთი ნახევარმცველი — მოჰამედ სისოკო.

ამასობაში, „იუვენტუსის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი გახარებულია, რომ ნაკრებში კვლავ ბევრი „ბიანკონერია“. „სკუადრა აძურაში“ „ბებერი ქალბატონის“ ოთხი წევრი მოხვდა და ასეთი შედეგით მხოლოდ „რომა“ თუ დაიკვეხნის.

„ტრადიციაა, რომ „იუვენტუსში“ ყოველთვის ღირსეული იტალიელები თამაშობენ, რომლებიც ნაკრებს წარმატებების მიღწევაში ეხმარებიან. სერია B-ში რომ ვიყავით, მაშინაც ასე იყო და ახლაც ასეა“ — აღნიშნა გახარებულმა კობოლი ჯილიმ.

„იუვეს“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო კი ბომბარდირობითა და კარგი სეზონით გახარებულია და ფანებს წარმატებებს პირდება.

„ჯერ სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, ახლა კი, კარიერაში პირველად, სერია A-სი, და ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით მედგა და ბოლომდე სჯეროდა ჩემი, ამ მიღწევას სწორედ მათ ვუძღვნი. კვლავ გამარჯვებისკენ ვისწრაფვი და მწამს, ასე გავაგრძელებთ. „იუვენტუსი“ სწორ გზას ადგას, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება, უნდა გავძლიერდეთ და ძველებურად ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ“ — თქვა „პინტურიკიომ“.

გიორგი კაკაბაძე

რონალდ კუმანი

ექსთავკაცმა ღამურებს ჰოლანდიიდან შეუტია

რონალდ კუმანი ვალენსიურ თემას კვლავ დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც „ღამურათა“ მწვრთნელობიდან მოხსნეს (21 აპრილი), ჰოლანდიელი სიჩუმეს ინარჩუნებდა, თუმცა სამშაბათს ტელეარხ „ჰეტ გესპრეკთან“ ინტერვიუში ნათლად გამოჩნდა, რომ კუმანი ვალენსიური წყენის დავიწყებას არ აპირებს.

„ვალენსიაში“ მუშაობის დაწყება ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იყო“ — განუცხადა მწვრთნელმა თანამემამულე ჟურნალისტებს და ეს მაშინ, როცა „მესტალიაზე“ სულ რაღაც 5 თვის ყოფნის სანაცვლოდ იქაურთა ხაზინა 4,5 მილიონი ევროთი შეამუბუქა... რასაკვირველია, ინტერვიუში „ტინტინის“ მიერ კლუბიდან დათხოვნილი ვეტერანთა სამეულიც ახსენეს, რომელთა მისამართით კუმანს კრიტიკული გამოთქმები არ დაუშურებია: „კანისარესი, ალბელდა და ანგულო „ვალენსიადან“ დავითოვე, ისინი კი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ვარჯიშებზე ჩვეულებრივად ცხადდებოდნენ და გასახდელშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ. თქვენ ეს უცნაურად არ გეჩვენებათ? ამ ფეხბურთელებმა თავიანთი სიჯიუტით კლუბში ნეგატიური, წინააღმდეგობრივი გარემო შექმნეს... სამეულს საქმის არევაში სხვებიც დაეხმარნენ, მაგალითად ხოაკინი. და მერე რა დაემართათ? თავიდან მსგავსი მოთამაშეების ფასი 30 მილიონი ევრო იყო, ახლა კი კლუბი მზადაა, ისინი თუნდაც 30 ევროს ფასად მოიშოროს თავიდან“.

ხოაკინსა და რონალდ კუმანს შორის ურთიერთობა თავიდანვე დაძაბული იყო. მწვრთნელი ესპანელს დიდად არ ენდობოდა და მოედანზეც იშვიათად გამოჰყავდა. „ხეტაფესთან“ სათასო ფინალში კი „ტინტინმა“ ხოაკინი 60 წუთი არბენინა გასახურებლად და თამაშში მაინც არ ჩართო...

„პსვ-ში რომ დავრჩენილიყავი, დროთა განმავლობაში ალბათ ან ჰოლანდიის ნაკრებს ჩამბარებდნენ, ან კიდევ „ბარსელონას“ — თქვა კატალონიური გრანდის ყოფილმა ვარსკვლავმა. შეგახსენებთ, რომ კუმანის მწვრთნელობის პერიოდი „ვალენსიას“ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უსახურად ითვლება. თუმცა, ამ დამრიგებელმა კოპა დელ რეი მოიგო...

ლადო ხოფერიძე

ბენფიკას მისივე ჯალათი ლაუდრუპი მოუვლის

მიქაელ ლაუდრუპის წასვლის შემდეგ „ხეტაფეს“ ალბათ ან ეუსებიო საკრისტანი (ფრანკ რაიკარდის თანაშამწე „ბარსელონაში“), ან ბასკი ერნესტო ვალვერდე ჩაიბარებს, ვინც „ესპანიოლში“ ცუდად ჩატარებული სეზონის მერე ამ გუნდში, სავარაუდოდ, აღარ დარჩება. არიან სხვა კანდიდატებიც: გონსალო არკონადა, მარსელინო გარსია ტორალი, კიკე სანჩეს ფლორესი და ხოსე ანტონიო კამაჩო. თუმცა, ესპანური პრესის ვარაუდით, „კოლიზეუმზე“ უპირატესობას მაინც საკრისტანი-ვალვერდეს წყვილიდან ამორჩეულ სპეციალისტს მიანიჭებს.

ლაუდრუპმა კი სამომავალსეზონოდ „ხეტაფედან“ აბარგების ამბავი ოფიციალურად გამოაცხადა და თავის აგენტ ბაირამ თუთუმლუს ახალი კლუბის ძებნა დაავალა. „მიქაელს სატრანსფერო შემოთავაზებანი ბლომად აქვს, თუმც მას საინტერესო, ამბიციურ პროექტში სურს მონაწილეობა. კვირის ბოლოს ლაუდრუპი „ბენფიკას“ სპორტულ დირეტორ რუი კოშტას შეხვდება და კონტრაქტის დეტალებს გაარკვევს. დიდი შანსია, რომ მიქაელ ლაუდრუპი გაისად „ეშტადიუ და ლუჟზე“ ვიხილოთ“ — აღნიშნა თურქმა აგენტმა ჟურნალისტებთან საუბარში.

პორტუგალიური „დიარიუ დე ნოტისიაში“ გვაცნობებს, რომ რუი კოშტა დანიელს სამომავალსეზონო ტრანსფერების საკმაოდ შთამბეჭდავ სიას წარუდგენს — „ბენფიკა“ წლეულს უეფაზე უღიმღამოდ გამოვიდა და, სხვათა შორის, ტურნირი სწორედ „ხეტაფესთან“ მარცხის შემდეგ დატოვა. ახლა ლისაბონელები თავიანთი კლუბის ახალი მწვრთნელითა და ფეხბურთელებით გაძლიერებას აპირებენ.

ლადო ხოფერიძე

სუპერარწივების პრობლემები

ნიგერიის ნაკრებს 27 მაისს ავსტრიასთან აქვს ამხანაგური მატჩი, 1 ივნისს კი სამხრეთ აფრიკას ხვდება 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში. „სუპერარწივებს“ მეკარის პრობლემა შეექმნათ, რადგან ამ მატჩებში მათ ვერც ვინსენტ ენიეამა დაეხმარება და ვერც დელე აიენუგბა. ეს გოლკიპერები ისრაელში თამაშობენ და მათ თავიათი კლუბები ნაკრებში არ უშვებენ — იმ პერიოდში მნიშვნელოვანი მატები გვაქვსო.


ამოდუ შაიბუ

ნიგერიელთა მწვრთნელ შაიბუ ამოდუს სასწრაფოდ მოუხდა გრეგ ეტაფიას გამოძახება, რომელიც სამხრეთ აფრიკაში თამაშობს.

ძოკი კანდელაკი

უფრო წავიდა, რევეიერი მოდის?

ანტონი რევეიერი

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვების შემდეგ, „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობამ მთელი ყურადღება გუნდის გაძლიერებაზე გადაიტანა. როგორც იცით, „იებს“ ალბერტო ჯილარდინოს უკავშირებენ. ამბობენ იმასაც, კატანიელი ხუან მანუელ ვარგასი ცალი ფეხით უკვე ფიორენტინელიაო. დაცვის გასაძლიერებლად კი ფლორენციელებს მიზანში ლიონელი ანტონი რევეიერი ამოუღიათ.

მარჯვენა მცველი „იებს“ ახლა ნამდვილად სჭირდება, რადგან გუნდი ჩეხმა ტომაშ უიფალუშიმ დატოვა. 30 წლის „უფოს“ დამატება „რეალსა“ და „სევილიას“ უნდათ.

„კვირას უიფალუშიმ „ფიორენტინას“ მაისურით თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა და გვინდა სიამოვნებით გავიხსენოთ ის, რაც ამ ექსტრაორდინარულმა მოთამაშემ ოთხი წლის განმავლობაში კლუბისთვის გააკეთა. მასთან ბევრი დაუვიწყარი მოგონება გვაკავშირებს. „უფომ“ „ფიორენტინას“ შემადგენლობაში 149 მატჩი ჩაატარა და ხშირად დათმობებზე მიდოდა, გუნდის სასიკეთოდ. რთულ პერიოდებში, უპირველესად, სწორედ საკუთარ დახმარებას გვთავაზობდა. გვინდა, დიდი პატივისცემით გავაცილოთ ტომაში და წარმატებები ვუსურვოთ. უიფალუში გახლავთ ადამიანი, რომლის თვისებებიც ყველგან დაფასდება. მადლობა ტომაშ, დიდი მადლობა და ყველაფერში წარმატებას გისურვებთ“ — ნათქვამია „ფიორენტინას“ ოფიციალურ განცხადებაში.

რაც შეეხება 28 წლის რევეიერს, მისით ადრე „მილანი“ და „იუვენტუსიც“ იყვნენ დაინტერესებულნი. სავარაუდოდ, „რენის“ ყოფილი მოთამაშე სერია A-ში გადაბარგებას დიდი სიამოვნებით დაყაბულდება.

ბოლო ინფორმაციით, „იები“ ანდრეა ბარძალის ხელში ჩაგდნბასთანაც ძალიან ახლოს არიან. „პალერმო“ მასში 10-11 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო ბარძალი ფლორენციელებთან ოფხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონში დაახლოებით 1,5 მილიონს გადაუხდიანო.

კოკი კანდელაკი

კეიტა და ალვეში ბარსელონელები არიან

სეიდუ კეიტასა და დანი ალვეშს სამომავალსეზონოდ „ბარსელონას“ ფორმაში გამოწყობილებს ვნახავთ. ყოველ შემთხვევაში, დღეს საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეტყობა, „სევილია“ ამ ფეხბურთელების დაკარგვას უკვე შეურიგდა.

„სანჩეს პისხუანის“ გუნდის ფეხბურთელთა კატალონიაში გადაბარგების თავდებად „მარკა“ გვევლინება. ალვეშთან დაკავშირებით გარკვეული წინააღმდეგობანი კიდევ არსებობს, კეიტას საქმე კი თითქმის მოგვარებული ყოფილა — „ბარსელონა“ „სევილიადან“ აფრიკელის გამოხსნის თანხას, 14 მილიონ ევროს გადაიხდის და ტრანსფერიც მზადაა. „სევილიაში“ ამაზე უკმაყოფილება არ გამოუხატავთ.

კეიტა საამსეზონოდ პრემიერადივიზიონის ერთ-ერთი აღმოჩენა იყო და თავისი ოსტატობით ყველას დაუმტკიცა, რომ „სევილია“ მისი არჩევისას არ შემცდარა. მცირე ხანში კი ეს ფეხბურთელი ალბათ „ბარსელონას“ ფანთა კერპიც გახდება.

სხვა ბარსელონური ამბებიდან ის არის საინტერესო, რომ კატალონიური გრანდი დაცვის გასაძლიერებლად „ინტერის“ კრისტიან კივუს ყიდვას აპირებს, რასაც იტალიაში სამუელ ეტოოს გაგზავნა მოჰყვება. დიდი ხანია, რაც „ბარსას“ კივუ აინტერესებს, ეტოო კი გასასხვისებელთა სიის სათავეშია და „ინტერთანაც“ ასეთი კომბინაცია გათამაშდება.

ლადო ხოფერიძე

აგირემ მექსიკას მადრიდი ანაცვალა

ხავიერ აგირემ გადაწყვიტა, მომავალი სეზონი კვლავ ესპანეთში გაატაროს. ორშაბათს „ატლეტიკოს“ მექსიკელმა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე თქვა, რომ „ვისენტე კალდერონიდან“ ფეხის მოცვლას არც გაისად აპირებს. „მე „ატლეტიკოს“ სპორტული პროექტისა მჯერა, ამ კლუბის ერთგული ვარ და გადავწყვიტე, საკონტრაქტო ვადა ბოლომდე დავასრულო“ — განაცხადა „ელ ბასკომ“.

აგირემ მედიასთან კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს 2007-08 წლების სეზონის განმავლობაში „მელეიბეთა“ თავკაცობამ მისი გაშვება რამდენჯერმე გადაწყვიტა. მწვრთნელს სურს, კარიერა კვლავ „ატლეტიკოში“ გააგრძელოს და ამაში ოჯახიც უჭერს მხარს. „მადრიდში ცხოვრებით და მუშაობით კმაყოფილი ვარ. მინდა, აქაურობა საკონტრაქტო ვადის ბოლომდე არ დავტოვო. „ატლეტიკოს“ სპორტული პროექტი კლუბში მოსვლისთანავე მომეწონა, შარშან უეფაზე გასვლითაც კმაყოფილი ვიყავი და ახლა მით უმეტეს — მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვიბრძოლებთ“ — ამბობს მექსიკელი სპეციალისტი.

„ელ ბასკომ“ „მელეიბეთა“ მაესტროდ დარჩენისთვის მექსიკის ნაკრების თავკაცობაზე თქვა უარი: „ნაკრების გვერდით გადადება ჩემთვის ადვილი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ჩვენს კლუბში დიდი საქმე გვაქვს წამოწყებული და ამას შუაგზაზე ვერ მივატოვებ... მექსიკური ვარიანტი საკმაოდ მაცდუნებელი იყო, მაგრამ მე, როგორც „ათლეტი“, კიდევ უნდა „გავიზარდო“.

ლადო ხოფერიძე



ატლეტიკოს ჯიბრი

სატრანსფერო ძიებაში მადრიდის „ატლეტიკო“ ეგზოტიკას არ უფრთხის. „მელეიბეებს“ განელი ნახევარმცველის, 16 წლის ტავრიკ ჯიბრის შეძენა გადაუწყვეტიათ, რომელიც ადგილობრივ „ჰართს ოვ ოუკში“ თამაშობს.

ჯიბრი მარჯვენა ნახევარმცველია, თუმცა მოიერიშედაც ხშირად უხილავთ მოედანზე. იგი „ატლეტიკოს“ სატრანსფერო სამიზნეზე შარშან, კორეაში ჩატარებული ჩვიდმეტწლამდელთა მუნდიალის დროს მოხვდა. ამ ჩემპიონატზე ითამაშა მეორე ნორჩმა სადიკ ადამსმაც, ვისთანაც „მელეიბეებმა“ რამდენიმე თვის წინ გააფორმეს ხელშეკრულება.

მადრიდელთა სასურველი ფეხბურთელის დებიუტი განის ძირითად ნაკრებში ახლახან შედგა. ამ აფრიკულ ქვეყანაში ამჟამად „ატლეტიკოს“ წარმომადგენელი რაფა ხუანესი იმყოფება, რომელიც ტავრიკ ჯიბრის კლუბს ნახევარმცველის სანაცვლოდ 1 მილიონ ამერიკულ დოლარს სთავაზობს, თუმცა „ჰართს ოვ ოუკი“ 2 მილიონს ითხოვს. ეს გუნდი განელთა მეფლაგმანეა და სხვა ჯილდოთა შორის მარაგში აფრიკის ჩემპიონობაც აქვს.

ლადო ხოფერიძე

მადრიდმა დაითანხმა?

კრიშტიანუ რონალდუმ მადრიდის „რეალს“ თანხმობა განუცხადა. ესპანური „მარკას“ ვერსიით, სამეფო კლუბის წარმომადგენლები ფეხბურთელს უკვე მოურიგდნენ. პორტუგალიელმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ უფროსობას უკვე შეატყობინა, რომ მადრიდში გადაბარგება უნდა.

კრიშტიანუ რონალდუ

„მანჩესტერი“ რონალდუს გასხვისების სასტიკი წინააღმდეგია, თუმცა, თუ თავად პორტუგალიელმა მოინდომა, ინგლისელები ხელს ვერარ შეუშლიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რეალის“ პრეზიდენტი კალდერონი დიდი ხნის ნოცნებარს სინამდვილედ აქცევს — სამეფო თეთრების თავკაცმა ინჩადას რონალდუს შეძენა ხომ კარგა ხნის წინ აღუთქვა.

მეგავარსკვლავი კრიშტიანუს გარდა კალდერონს „არსენალის“ ალექსანდრ გლების ჩაყვანაც უნდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. გლებს „მეთოფეებთან“ კონტრაქტით კიდევ ორი წლით უწევს თანამშრომლობა და ლონდონური კლუბიც მზადაა, ბელარუსს ახალი ხელშეკრულება გაუფორმოს, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელი კვირაში 75 ათას ევროს მიიღებს. თუმცა „ინტერი“ „მეთოფეთა“ ნახევარმცველს კვირაში 125-ათასიან ხელფასს უმზადებს და „რეალიც“ და „ბარსელონაც“ მზად არიან მის მოსატაცებლად. 27 წლის გლებისთვის ლონდონში სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ სხვა დიდევროპულ ლიგაში გადასვლა თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი იქნება.

ლადო ხოფერიძე

სარბიელი პროკლამაციებით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		24 მაისი						
18:00	179	ჰალი-ბრისტოლი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
		ინგლისი. II ლიგა						
		26 მაისი						
18:00	231	სტოკპორტი-როჩდეილი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		22 მაისი						
22:45	247	აბერდინი-რეინჯერსი	5.85	3.85	1.45	2.32	1.16	1.05
22:45	248	დანდი იუნ.-სელტიკი	8.20	4.20	1.35	2.77	1.15	1.02
22:45	249	ჰიბერნიანი-მოზერუელი	2.05	3.30	3.15	1.26	1.24	1.61
		იტალია. სერია B						
		25 მაისი						
18:00	21	პიზა-სპეცია	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
18:00	22	ტრიესტინა-ტრევიზო	4.25	3.15	1.80	1.80	1.26	1.14
18:00	23	მოდენა-ასკოლი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
18:00	24	ბარი-აველინო	2.40	3.65	2.40	1.44	1.20	1.44
18:00	25	მანტოვა-ბოლონია	4.50	3.40	1.70	1.93	1.23	1.13
18:00	26	გროსეტო-კიევო	5.00	2.00	2.40	1.42	1.62	1.09
18:00	27	ბრეშა-ფროზინონე	1.55	3.50	5.75	1.07	1.22	2.17
18:00	28	მესინა-ლეჩე	5.30	3.55	1.55	2.12	1.19	1.07
18:00	29	ჩეზენა-პიაჩენცა	3.45	2.40	2.50	1.41	1.44	1.22
18:00	30	ვიჩენცა-რავენა	1.60	3.75	4.50	1.12	1.18	2.04
18:00	31	ალბინოლეფე-რიმინი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		25 მაისი						
19:00	32	სევილია ბ-მალაგა	2.75	2.90	2.50	1.41	1.30	1.34
19:00	33	ჰერკულესი-ლას პალმასი	2.15	3.00	3.25	1.25	1.29	1.55
19:00	34	ეხიდო-ელჩე	2.20	3.10	3.05	1.28	1.27	1.53
19:00	35	ეიბარი-სერესი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
19:00	36	კასტელონი-ალბასეტე	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
19:00	37	კორდობა-ნუმანსია	2.40	2.95	2.85	1.32	1.30	1.44
19:00	38	ალავესი-სპორტინგი	2.80	3.00	2.40	1.44	1.29	1.33
19:00	39	სალამანკა-ფეროლი	2.15	2.95	3.30	1.24	1.30	1.55
19:00	40	ტენერიფე-სოსიედადი	2.90	2.95	2.35	1.46	1.29	1.30
19:00	41	გრანადა -სელტა	2.25	3.00	3.05	1.28	1.29	1.51
19:00	42	კადისი-ტარაგონა	2.20	2.95	3.20	1.26	1.30	1.53
		ბელგია. II დივიზიონი						
		22 მაისი						
22:30	254	ჰევერლე-ტუბეკე	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
22:30	255	ანტვერპენი-ლომელი	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
		დანია. სუპერლიგა						
		24 მაისი						
17:00	62	კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ	1.17	5.80	20.00	1.00	1.10	4.49
17:00	63	ესბიერგი-ვიბორგი	1.45	4.10	6.30	1.07	1.17	2.48
17:00	64	რანდერსი-ბრიონდბიუ	2.85	3.40	2.30	1.55	1.27	1.37
17:00	65	ორჰუსი-ჰორსენსი	2.60	3.30	2.55	1.45	1.28	1.43
17:00	66	ნორდსიელანდი-მიდტიულანდი	3.90	3.60	1.80	1.87	1.23	1.20
17:00	67	ოლბორგი-ოდენსე	1.95	3.40	3.55	1.23	1.25	1.73
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		24 მაისი						
21:00	83	მოლდე-რუსენბორგი	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		25 მაისი						
20:00	77	სტრიომსგოდსეტი-ფრედრიკსტადი	2.35	3.35	2.65	1.38	1.24	1.47
20:00	78	ვოლერენგა-ბოდიო გლიმტი	1.60	3.60	4.80	1.10	1.20	2.05
20:00	79	ვიკინგი-ბრანი	2.10	3.40	3.00	1.29	1.23	1.59
20:00	80	სტაბეკი-ალესუნდი	1.25	4.75	9.00	1.00	1.09	3.10
20:00	81	ტრომსიო-ლინი	1.80	3.50	3.75	1.18	1.21	1.81
20:00	82	ლილესტრიომი-ჰამ კამი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		25 მაისი						
20:00	85	სტარტი-ოდ გრენლანდი	2.50	3.50	2.50	1.45	1.25	1.45
		შვედეთი. სუპერეტა						
		22 მაისი						
21:00	241	სირიუსი-ჰეკენი	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43
21:00	242	იონკოპინგი-ასირისკა	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:00	243	ბანკეფლო-ლანდსკრონა	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24
21:00	244	ატვიდაბერგი-მიალბი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
21:00	245	ვესბი-ქვიდინგი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
21:00	246	ბრომაპოიკარნა-ენჩიოპინგი	1.65	3.60	5.00	1.13	1.24	2.09
		ფინეთი. ვაიკაუს ლიგა						
		22 მაისი						
19:30	101	როვანიემი-ტურკუ	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
19:30	102	ინტერი-ვპს	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
19:30	103	ტამპერე-კტპ	1.35	4.10	8.50	1.01	1.16	2.76
19:30	104	მარიეჰამნი-კუოპიო	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
20:00	105	ჰონკა-ჰიკ	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
19:30	106	მიუპა-ლაჰტი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
19:30	107	იარო-ჰაკა	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		23 მაისი						
22:45	127	ბოჰემიანი-გალვეი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
22:45	128	ბრეი-კორკი	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
22:45	129	დერი-დუბლინი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:00	130	შემროკი-დროგედა	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
22:45	131	კობი-ფინ ჰარპსი	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
22:45	132	სლიგო-სტ.პატრიკსი	2.75	3.10	2.35	1.45	1.26	1.33
		აშშ. MLS						
		22 მაისი						
23:45	134	სან ხოსე-ჰიუსტონი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
		მექსიკა. კლაუსურა						
		22 მაისი						
23:45	253	მონტერეი-სანტოსი	2.35	3.25	2.65	1.36	1.24	1.45
		ჩილე						
		22 მაისი						
23:45	251	ევერტონი-უნ.ჩილე	2.65	3.15	2.40	1.43	1.25	1.36
		AFC. ჩემპიონთა ლიგა						
		22 მაისი						
11:00	223	ჩანგჩუნი (ჩინ)-ადელაიდა(ავსტრალ)	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
		ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები						
		22 მაისი						
14:00	203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		23 მაისი						
14:00	204	ავსტრალია-განა	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
19:00	205	რუსეთი-ყაზახეთი	1.07	7.00	16.00	1.00	1.00	4.86
22:15	232	სლოვენია-ბოსნია	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		24 მაისი						
22:30	206	ჰოლანდია-უკრაინა	1.55	3.40	5.80	1.06	1.22	2.14
20:00	207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
19:00	208	ხორვატია-მოლდოვა	1.12	6.00	15.00	1.00	1.04	4.28
21:00	209	უნგრეთი-საბერძნეთი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
22:45	210	ირლანდია-სერბეთი	2.35	3.10	2.85	1.33	1.28	1.48
		25 მაისი						
17:00	211	თურქეთი-ურუგვაი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. თასი 24 მაისი						
22:00	222	რომა-ინტერი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
		შოტლანდია. თასი 24 მაისი						
18:00	174	რეინჯერსი-ქუინი	1.25	4.80	12.00	1.00	1.13	3.42
		საფრანგეთი. თასი 24 მაისი						
23:00	240	პსჟ-ლიონი	4.40	3.20	1.75	1.85	1.25	1.13
		სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი 22 მაისი						
23:45	220	კუიტო-სან ლორენსო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:45	221	სანტოსი-ამერიკა	1.50	3.60	5.40	1.05	1.17	2.16

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10174	რეინჯერსი-ქუინი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10179	ჰალი-ბრისტოლი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10204	ავსტრალია-განა	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10206	ჰოლანდია-უკრაინა	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10207	შვეიცარია-სლოვაკეთი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10209	უნგრეთი-საბერძნეთი	3.25	2.00	2.70	1.23	1.47	1.14
10210	ირლანდია-სერბეთი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10222	რომა-ინტერი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10232	სლოვენია-ბოსნია	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10240	პსჟ-ლიონი	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11174	რეინჯერსი-ქუინი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11179	ჰალი-ბრისტოლი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11204	ავსტრალია-განა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11205	რუსეთი-ყაზახეთი	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11206	ჰოლანდია-უკრაინა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11207	შვეიცარია-სლოვაკეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11208	ხორვატია-მოლდოვა	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11209	უნგრეთი-საბერძნეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11210	ირლანდია-სერბეთი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11222	რომა-ინტერი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11232	სლოვენია-ბოსნია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11240	პსჟ-ლიონი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12174	რეინჯერსი-ქუინი	2.00	1.60
12179	ჰალი-ბრისტოლი	1.60	2.00
12203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.70	1.90
12204	ავსტრალია-განა	1.70	1.90
12205	რუსეთი-ყაზახეთი	2.20	1.40
12206	ჰოლანდია-უკრაინა	1.90	1.70
12207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.90	1.70
12208	ხორვატია-მოლდოვა	2.10	1.50
12209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.70	1.90
12210	ირლანდია-სერბეთი	1.70	1.90
12222	რომა-ინტერი	1.80	1.80
12232	სლოვენია-ბოსნია	1.80	1.80
12240	პსჟ-ლიონი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13179	ჰალი-ბრისტოლი	1.80	1.80
13203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.70	1.90
13204	ავსტრალია-განა	1.70	1.90
13205	რუსეთი-ყაზახეთი	2.30	1.50
13206	ჰოლანდია-უკრაინა	1.70	1.90
13207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.70	1.90
13208	ხორვატია-მოლდოვა	2.10	1.50
13209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.80	1.80
13210	ირლანდია-სერბეთი	1.70	1.90
13222	რომა-ინტერი	1.60	2.00
13232	სლოვენია-ბოსნია	1.70	1.90
13240	პსჟ-ლიონი	1.90	1.70

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17174	რეინჯერსი-ქუინი	1.85	1.95
17179	ჰალი-ბრისტოლი	1.85	1.95
17203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.85	1.95
17204	ავსტრალია-განა	1.85	1.95
17205	რუსეთი-ყაზახეთი	1.85	1.95
17206	ჰოლანდია-უკრაინა	1.85	1.95
17207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.85	1.95
17208	ხორვატია-მოლდოვა	1.85	1.95
17209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.85	1.95
17210	ირლანდია-სერბეთი	1.85	1.95
17222	რომა-ინტერი	1.85	1.95
17232	სლოვენია-ბოსნია	1.85	1.95
17240	პსჟ-ლიონი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-'ში	თანაბრად	II-'ში
15179	ჰალი-ბრისტოლი	3.00	2.80	2.00
15203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	3.00	2.80	2.00
15204	ავსტრალია-განა	3.00	2.80	2.00
15206	ჰოლანდია-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15207	შვეიცარია-სლოვაკეთი	3.00	2.80	2.00
15209	უნგრეთი-საბერძნეთი	3.00	2.80	2.00
15210	ირლანდია-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15222	რომა-ინტერი	3.00	2.80	2.00
15232	სლოვენია-ბოსნია	3.00	2.80	2.00
15240	პსჟ-ლიონი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16179	ჰალი-ბრისტოლი	1.62	2.05
16203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.58	2.10
16204	ავსტრალია-განა	1.95	1.65
16206	ჰოლანდია-უკრაინა	1.17	4.10
16207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.23	3.60
16209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.95	1.70
16210	ირლანდია-სერბეთი	1.65	2.05
16222	რომა-ინტერი	1.70	1.95
16232	სლოვენია-ბოსნია	1.52	2.20
16240	პსჟ-ლიონი	3.00	1.30

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14179	ჰალი-ბრისტოლი	1.80	2.00
14203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.80	2.00
14204	ავსტრალია-განა	2.00	1.80
14206	ჰოლანდია-უკრაინა	1.30	2.50
14207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.45	2.40
14209	უნგრეთი-საბერძნეთი	2.00	1.80
14210	ირლანდია-სერბეთი	1.80	2.00
14222	რომა-ინტერი	1.85	1.95
14232	სლოვენია-ბოსნია	1.75	2.10
14240	პსჟ-ლიონი	2.40	1.45

გაიხსნა ქროქოს ახალი ფილიალი
მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 კვ. II კორპ.
შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჯერ უკრაინა, მერე დრაფტი
მარკოიშვილი ვიზას ელოდება

ერთთვიანი ტრავმის შემდეგ „ბკ კიევის“ უკანახაზელი მანუჩარ მარკოიშვილი მოედანს რიხით დაუბრუნდა. უკრაინის ჩემპიონატის ფინალური სერიის პირველ მატჩში მან 8 ქულა ჩაუგდო მარიუპოლის „აზოვმაშს“, თუმც მომდევნო შეხვედრაში გაცილებით უკეთ ითამაშა და 23 ქულით ბომბარდირი გახდა. მანუ ახლა მხოლოდ უკრაინის ჩემპიონობაზე ფიქრობს, თუმც ცალი თვალი ამერიკის საელჩოსკენ უჭირავს და ვიზას ელოდება — მას წლეულს 22 წელი უსრულდება და NBA-ს დრაფტზე დადგომის ბოლო შანსი აქვს. გუშინ მანუჩარს კიევში რომ შევხვდინეთ, აეროპორტში იყო და მარიუპოლის თვითმფრინავში ჯდებოდა...

— „აზოვმაშთან“ გასვლაზე ურთულესი მატჩები გელის და ორიდან ერთი თუ არ მოვიგეთ, ჩემპიონობაზე ფიქრს დავეშვიდობებით. ფინალური სერია 3 გამარჯვებამდეა და ახლა საერთო ანგარიში 1:1-ია.

— პირველი მოგების შემდეგ დასანანი მატჩი წააგეთ და მოედნის უპირატესობაც დაკარგეთ...

— ეგ წაგება დღემდე ვერ მოგვინელებია. რომ მოგვეგო, ახლა ჩემპიონობა თითქმის ჯიბეში გვექნებოდა, რადგან დარჩენილი სამი მატჩიდან ერთს მაინც მოვიგებდით. მეორე შეხვედრაში თავიდანვე აგვერია საქმეები, ძალიან დიდი სხვაობით წავაგეთ საწყისი მეოთხედი და მერე დრო აღარ გვეყო. მეორე ტაიმიდან კი მოვიპოვეთ ინიციატივა და ნელ-ნელა ვამცირებდით ჩამორჩენას, მაგრამ ფინალურმა სირენამ მოგვისწრო.

— შენ მაგ წაგებული მატჩის ბომბარდირი გახდი, რაც ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ ცოტა მოულოდნელი იყო...

— ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მოგვეგო, თუმცა ეს ვერ მოვახერხეთ და ჩემს 23 ქულას ელოდერი დაეკარგა.

— მიუხედავად ამისა, კმაყოფილი უნდა იყო საკუთარი თამაშით...

— მერჩივნა, ქულა საერთოდ არ ჩამეგდო და მოგვეგო, რადგან როცა მოედანზე ვარ, ჯერ გუნდის ინტერესებია ჩემთვის მთავარი და მერე საკუთარი მონაგარი. ზოგადად, ცალკე აღებული, კარგად ვითამაშე და ამით კმაყოფილი ვარ, მაგრამ წაგებამ ყველაფერი დამავიწყა.

— შეიძლება ითქვას, რომ ფორმა სრულად აღიდგინე?

— ძნელი სათქმელია, რადგან ტრავმის შემდეგ ეს იყო ჩემი პირველი მაღალი დონის თამაში. ფინალური სერიის პირველ მატჩში შედარებით ფრთხილად ვიყავი, მხოლოდ 8 ქულა ჩავაგდე, თუმც ისიც სათქმელია, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად ვთამაშობდი და აკლიმატიზაცია მჭირდებოდა.

— ფეხი აღარ გაწუხებს?

— იმდენად არა, რომ თამაშზე უარი ვთქვა, თუმცა ისე არ მაქვს, როგორც ვისურვებდი. ეს ფეხი ქრონიკულად მაწუხებს და განსაკუთრებით გაზაფხულზე იჩენს ხოლმე ტკივილი თავს. ასე იყო შარშანაც და ასეა ახლაც.

— სწორედ ფეხის ტკივილმა შეგიშალა ხელი შარშან დრაფტზე დადგომაში, არადა, საბუთები გამზადებული გქონდა და ამერიკაში მიემგზავრებოდი.

— მართალია, ყველაფერი მზად მქონდა და ძალიან მეწყინა, რომ ვერ წავედი. ახლა კი ცოტა პრობლემები შემექმნა, რადგან ამერიკის ვიზას ველოდები და მიღების პროცესი ცოტა გაიწელა.

— ანუ წლეულსაც გადაწყვეტილი გაქვს, რომ დრაფტზე დადგე?

— 22 წლის ვხდები და ესაა დრაფტზე დადგომის ბოლო ვადა. მე ჩემსას ვცდი, ჩავალ ამერიკაში და იქაური გუნდების მწვრთნელებთან წავიკარგიშებ. თუ გამიმართლა და დრაფტზე ამირჩიეს, ხომ კარგი, არადა, დასაკარგავი არაფერი მაქვს. თუ არ ამირჩევენ, ამერიკელ სპეციალისტებთან და პერსპექტიულ ახალგაზრდებთან ვარჯიშით დიდ გამოცდილებას მივიღებ.

— დღეს რომ მიიღო ვიზა, ამერიკაში ეგრევე წახვალ?

— რა თქმა უნდა, არა. უკრაინის ჩემპიონატი დამთავრდება და ამერიკაში მერე გავემგზავრები.

— კონკრეტულად სად და ვისთან მიდიხარ, თუ იცი?

— ჯერ არა, რადგან ახლა მთავარია, ვიზა მივიღო. დანარჩენი პრობლემას არ წარმოადგენს. ჩემი მენეჯერია ამ საქმეებით დაკავებული.

— სეზონი მთავრდება და შენი კონტრაქტის საქმე როგორაა?

— „ბკ კიევთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და სხვა ვარიანტებზე არც ვფიქრობ. სიმართლე გითხრა, ჯერ არც არაფერი გამოჩენილა და მე რატომ შევიწუხო თავი?! კიევში თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ.

— ესე იგი, ნაკრების შეკრებაზე დროულად ჩამოხვალ.

— შეკრებაზე არასდროს დამიგვიანია და ახლა მით უმეტეს. ახალი მწვრთნელი გვყავს და ძალიან მინდა, რაც შეიძლება, მალე გავიცნო იგორ კოკოშკოვი. მის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ მჯერა, რომ მცოდნე სპეციალისტია და A დივიზიონში გადასვლაში დიდად დაგვეხმარება.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი
შრჩხულს მეოთხე თავი ამოეწვერა



რაჯონ რონდო

20 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 1:0 დეტროიტი

ბოსტონი 88:79 დეტროიტი

ბოსტონი: გარნეტი (26 ქულა, 9 მოხსნა), პირსი (22), რონდო (11 ქულა, 7 პასი, 5 ჩაჭრა)

დეტროიტი: პრინსი (16), ჰამილტონი (15), მაკდაიესი (14 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (11)

„დეტროიტმა“ მეორე რაუნდში 4:1 მოუთავა საქმე „ორლანდოს“, ასე რომ, მას კონფერენციის ფინალის წინ გვარიანი თავისუფალი დრო გაუჩნდა კარგად დასასვენებლად და გამოსაშუშებლად, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი „ბოსტონის“ მისსავე სახლში დასამარცხებლად. „კელტები“ ისე იცავენ საკუთარ დარბაზს მომხდურთაგან, თითქოს ეს უკანასკნელნი მართლა სახლებში უცვივდებოდნენ და ოჯახებს უწიოკებდნენ — რეგულარული ჩემპიონატის ჩათვლით, ზედიზედ უკვე მე-15 შინაური თამაში მოიგეს.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და პირველი ტაიმი მასპინძელთა ერთქულიანი მყიფე ლიდერობით დასრულდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „ბოსტონს“ „კლივლენდთან“ 7-თამაშიანი ძალგამომცლელი სერიის შემდეგ დასასვენებლად მხოლოდ ერთი დღე ჰქონდა, მას მეტი ენერგია აღმოაჩნდა თამაშის გარდასატეხად. მესამე მეოთხედში „კელტებმა“ მოგებისკენ დიდი ნახტომი გააკეთეს, როცა 12 ქულით დაწინაურდნენ და ბოლო მეოთხედისთვის პტაქტიკულად მიუღწეველნი გახდნენ მეტოქისთვის.

„დერტოიტმა“ მაინც სცადა დასკვნით პერიოდში სხვაობის გაბათილება, თუმც „ბოსტონმა“ ახალგაზრდა გამთამაშებელ რაჯონ რონდოს მეთაურობით უნარიანად დაიცვა თავი. თავად რონდომ ამ 12-წუთეულში 2 ჩაჭრა გააკეთა და 7 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ბოლოსწინა წუთზე მნიშვნელოვანი სამქულიანიც ჩააგდო და მოახლოებული მეტოქე „საპატიო“ დისტანციაზე დატოვა. მთლიანობაში, „სეტლიქსის“ მეორეწლიანმა გამთამაშებელმა პირად დუელში აჯობა „დეტროიტის“ ლიდერს, 2004 წლის ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშე ჩონსი ბილაფსს. სიმართლე ითქვას და, ბილაფსი „ორლანდოსთან“ მიღებული ტრავმის გამო და სამი თამაშის გამოტოვების შემდეგ მთლად ჩვეულ ფორმაში ვერ გახლდათ. მაგრამ „ბოსტონის“ მეტოქეებისთვის ისიც უსიამო ფაქტია, რომ მათ ამ გუნდურჩხულის სამი ცეცხლისმფრქველი თავის გარდა (გარნეტი-პირსი-ალენი) კიდევ ამ ვერცხლისწყალა რონდოს დევნაც უწევთ და ეს ბალღიც დიდებთან ერთად, თუ მათ წინააღმდეგ თამაშში, სულ მეტად და მეტად იწრთობა.

„მე მჯერა მისი — ამბობს „ბოსტონის“ თავკაცი დოკ რივერსი რონდოზე — რომ შეეტყვე, „დეტროიტთან“ თამაშის წინ ცოტას ღელავდა, ვუთხარი შენ უკვე ჯოჯოხეთურად კარგი კალათბურთელი ხარ და დაე, სხვამ იღელვოს შენზე-მეთქი.“

ვანო კოგიაშვილი

ჩიკაგო პირველი ხმოსანია

20 მაისს NBA-მ დრაფტ-ლატარია მოაწყო და 26 ივნისს გასამართ დრაფტზე პირველი არჩევანის გაკეთების უფლება „ჩიკაგოს“ შეხვდა.

მოკლედ განვმარტოთ დრაფტ-ლატარიის არსი. ეს გახლავთ ჩვეულებრივი ლატარია, რომელშიც მონაწილეობენ ის გუნდები, რომლებიც პლეი ოფში ვერ მოხვდნენ. ასეთი 14 გახლავთ, 7-7 თითო კონფერენციიდან. ლატარია არკვევს, მათგან რომელს რივით რომელი არჩევანის გაკეთების უფლება ერგება ერთი თვის შემდეგ გასამართ დრაფტზე. რაც უფრო უსუსური იყო გუნდი რეგულარულ ჩემპიონატში და რაც ნაკლები გამარჯვება მოუგოვდა, ლატარიაში წარმატების მით მეტი შანსი აქვს. პლეი ოფში მოხვედრილი 16 გუნდი არ მონაწილეობს დრაფტ-ლატარიაში. მათ ერგებათ მე-15-30 არჩევნები იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი დაიკავეს რეგულარულ ჩემპიონატში.

დრაფტ-ლატარია 80-იანი წლების შუაში შემოიღეს, რადგან სუსტი გუნდები შეგნებულად ცდილობდნენ ყველაზე მეტი წაგების მოგროვებას, რათა დრაფტზე პირველი არჩევანი ჰქონოდათ და სასურველი ახალგაზრდა ვარსკვლავის დათრევა სხვებისთვის დაესწროთ. ლატარიის წყალობით კი ყველაზე სუსტ გუნდს გარანტირებული სულაც არ აქვს პირველი არჩევნის გაკეთება (ამის გამო მაჩანჩალებს თამაშების შეგნებულად წაგების სურვილიც გაუნელდათ) და ამის ნათელი გამოვლინებაა თუნდაც წლევანდელი დრაფტ-ლატარია.

„ჩიკაგო“ 2007-08 რეგულარულ ჩემპიონატში უკანასკნელი გუნდი სულაც არ გახლდათ, ერთი ხანობა პლეი ოფისთვისაც კი იბრძოდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოსავლეთში მხოლოდ 11-ე ადგილზე გავიდა. სეზონი მასზე უარესი შედეგით დაასრულა 8 გუნდმა და „ჩიკაგოს“ ლატარიის მოგების მხოლოდ 1,7 პროცენტიანი შანსი ჰქონდა, მაგრამ, აგერ, მას შეხვდა პირველი არჩევანი და ახლა კლუბის გენ-მენეჯერი ჯონ პაქსონი თავს იტეხს, რაში გამოიყეოს ეს მოულოდნელი საჩუქარი — 208-სანტიმეტრიან კანზასსიტელ ფორვარდ მაიკლ ბისლიზე დახარჯოს თუ სტუდენტური ლიგის ფინალისტი „მემფისის“ მოუხელთებელი უკანახაზელი დერიკ როუზი აიყვანოს.

სეზონის უარეს გუნდ „ძაიამის“ კი მეორე არჩევნის გაკეთება შეუძლია. მას მიჰყვებიან „მინესოტა“ (27-ე ადგილი რეგულარულში), „სიეტლი“ (29-ე), „მემფისი“ (28-ე) და სხვანი. ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ ბოლო წლებში ლატარიის მუდმივი მონაწილე იყო და დრაფტებზე მაღალი ნომრებიც ხვდებოდა, წლეულს კი პლეი ოფში გავიდა და რაკი 16 მეპლეიოფე გუნდში უარესი შედგი ჰქონდა, მე-15 არჩევანი უწევს.

ვანო კოგიაშვილი

ჩახნაშვილმა პირველი ბარიერი გადალახა

ანა-ტაკეკო ფუჯივარა

პარიზში, „როლან გაროსის“ კორტებზე სეზონის მეორე სლემტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი გახურდა და გუშინ კორტზე საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილიც გავიდა.

მაკას პირველი მეტოქე 26 წლის იაპონელი რიკი ფუჯივარა იყო, ვინც ამჟამად 179-ეა WTA-ს რეიტინგში, ხოლო 2005 წელს კარიერის უმაღლეს, 84-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

პირველი სეტი იაპონელის უპირატესობით დაიწყო, თუმც მაკამ მალე გამოასწორა მდგომარეობა, პარტია 7:5 მოიგო და მეორეშიც ეგრევე ბრეიკი გააკეთა. ამის შემდეგ, უკვე ფუჯივარამ იძალა, ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მესამე სეტი, ისევ ქართველის უპირატესობით წარიმართა. საბოლოო ჯამში ჩახნაშვილმა 7:5 1:6 6:3 იმარჯვა და მეორე წრეში გავიდა, სადაც კვალიფიკანტთა შორის მე-4 ნომრად განთესილ ბელგიელ იანინა ვიკმაიერს შეხვდება.

ამ კვირის ტურნირებზე მოთამაშე კიდევ ერთმა ქართველმა მანანა შაფაქიძემ კი ისრაელში, რაანანას მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის პირველი ბარიერი გადალახა. მე-3 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა 6:4 6:0 მოუგო ურეიტინგო მასპინძელ ესთერ მაზურს და ახლა კლასიფიკაციის 1036-ე საფეხურზე მყოფ 19 წლის ბელგიელ ჟოელ ლემენსს შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში 6:3 6:2 დაამარცხა კიდევ ერთი მასპინძელი ამიტ ბერკოვიჩი.

ელ აინაუი ასაკს არ ეპუება

წლის მეორე სლემტურნირისთვის ბოლო მზადება ევროპის რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს. მართალია, ბობოლათა უმეტესობა დასვენებასა და პარიზში მოწყობას ამჯობინებს, მაგრამ ამ კვირაში მიმდინარე ტურნირებს თვალი მაინც აუცილებად უნდა მივადევნოთ. კაცები ავსტრიულ პორტშახსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში, კასაბლანკაში არიან თავმოყრილნი. ქალები კი სტამბულსა და სტრასბურგში შეკრებილან. გარდა ამისა, დიუსელდორფში იმართება უკვე ტრადიციული კაცთა გუნდური ჩემპიონატი. ასე რომ, დროა, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

მაროკოში მომხდარი ამბებიდან ადვილობრივთა კერპის, 36 წლის ვეტერან იუნის ელ-აინაუის გამარჯვება გამოვყოთ, რომელმაც საათნახევარზე ცოტა მეტი დაახარჯა დომინიკ ჰრბატის და ამით სამმატჩიან წაგებათა სერიას ბოლო მოუღო. მეოთხედფინალში აფრიკელი აგუსტინ კალერის შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ ფრანგ ოლივიე პატიენსის წაქცევა ზედმეტი წვალების გარეშე შეძლო.

კიდევ ერთი მეოთხედფინალი წმინდად ფრანგული იქნება — აქ ერთმანეთს ჟილ სიმონი და მეოთხე ნომრად განთესილი მარკ ჟიკელი დაეტაკებიან.

პორტშახში კი მთავარი მოვლენა ივან ლიუბიჩიჩის გამარჯვება გალხდათ. ბოლო ერთი წელია, ხორვატის საქმეები სულ უკან-უკან მიდის, რადგანაც მას ნებისმიერი შეხვედრის მოგება პრობლემად ექცა. „როლან გაროსის“ შარშანდელი ნახევარფინალისტი მიმდინარე სეზონში ძალიან უნიათოდ გამოიყურება, რაც ავსტრიაშიც დაამტკიცა, როცა ბლომად ძალები მიახარჯა არცთუ ძლიერი იან ჰაჟეკის დამარცხებას. ჩეხმა პირველი სეტი მოიგო კიდეც, მაგრამ ამან ლიუბიჩიჩი კიდევ უფრო გაბრაზა და მომდევნო ორ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მეტოქეს.

ფინიშისკენ მიდის მსოფლიოს გუდნური ჩემპიონატიც, სადაც ფინალისტების ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა (ჯგუფის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში ხვდება). წითელი ჯგუფიდან ტურნირის გადამწყვეტ მატჩში გასვლის მთავარი კანდიდატები შვედები არიან, რომლებმაც პირველივე სათამაშო დღეს მოუგეს მოქმედ ჩემპიონ არგენტინელებს და მათ გზას გუშინ ჩეხებიც გააყოლეს.

ლურჯ ჯგუფში კი მასპინძლები ლიდერობენ — ნიკლას კიფერი და ფილიპ კოლშრაიბერი არ ხუმრობენ და გავსებული ტრიბუნების მხარდაჭერით შეგულიანებულნი ნებისმიერი გმირობისთვის მზად არიან. ერთი მოულოდნელობა გერმანელებმა უკვე შემოგვთავაზეს, როცა დავიდ ფერერისა და ფელიჩიანო ლოპესისგან დაკომპლექტებულ ძალიან ძლიერ ესპანეთს მოუგეს.

ქალთა ტურნირებზე კი ჯერ მხოლოდ პირველი წრეები მიდის. რადგან ფავორიტთა უმეტესობას არ უთამაშია, ამიტომ მოსაყოლიც უფრო ცოტა გვაქვს. ერთადერთი ვირჟინი რაზანოს წაგებაა აღსანიშნავი. სტრასბურში მესამე ნომრად განთესილი ეს ფრანგი გვარიანად შეარცხვინა ჩინელმა იანგ-იან ძინმა, დაუთმო რა მხოლოდ ერთი გეიმი — 6:1 6:0.

ძახა ლომაჯვილი

პარიზი დევენპორტმაც იშარა



ლინდსი დევენპორტმა „როლან გაროსზე“ თამაშზე უარი განაცხადა. მსოფლიოს ექსპირველ ჩოგანს ჯერ არ გაუმჟღავნებია თავის უარის მიზეზები, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორთა განცხადებით, ლინდსიმ პარიზში ჩასვლა პირადი პრობლემების გამო იუარა.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის ამერიკელი 11-თვიანი შესვნების შემდეგ შარშან ზაფხულს დაუბრუნდა კორტს და თავისი ასაკისა და გაცდენილი დროის გათვალისწინებით, ნორმალურად ათამაშდა — ამერიკელი დღეისთვის რეიტინგში 26-ეა. თუმც აგერ წლის მეორე სლემტურნირს ტოვებს და ალბათ რამდენიმე საფეხურით დაქვეითება მოელის. თუმც, მეორეს მხრივ, დევენპორტი პარიზის სათიხნარო კორტებზე არასდროს ბრწყინავდა (საუკეთესო შედეგი 1998 წელს ნახევარფინალში გასვლაა) და მისგან სასწაულის მოლოდინი წლეულს სისულელეც იქნებოდა.

საფრანგეთში ვერ ჩავა კიდევ ორი ამერიკელი — მეილენ ტუ და მეგან შონესი, რომლებსაც სხვადასხვა ტრავმები აწუხებთ.

ენდი როდიკს კი, რომელიც „როლან გაროსზე“ ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს, სატურნირო ბადეში 2004 წლის ფინალისტი გილერმო კორია ჩაანაცვლებს.

ძახა ლომაჯვილი

ქართველები მოსკოვისთვის გადახალისდნენ

24-25 მაისს მოსკოვში ძიუდოში მორიგი მსოფლიოს თასი გაიმართება. მასში საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით წარსდგება. ჩვენებს ტურნირზე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ბორია ფირცხელიანი დამოძღვრავს. ამ შეჯიბრებაზე ქართველები თითო წონაში ორ-ორ კაცს გაიყვანენ, გამონაკლისი მხოლოდ 81 კგ წონითი კატეგორია იქნება.

მოსკოვში 60 კგ წონით კატეგორიაში ბეთქილ შუკვანი და ამირან პაპინაშვილი გამოვლენ, 66 კგ-ში მინდია ხომიზური და ვახტანგ ხოსიტაშვილი შეეცდებიან მედლების მოპოვებას, 73 კგ-ში დავით კუპრაშვილი და თენგიზ პაპოშვილი დაიცავენ ეროვნულ ღირსებას, 81 კგ-ში გიორგი ბაინდურაშვილს მოუწევს თავისი მაღალი კლასის დამტკიცება, 90 კგ-ში ჭაბუკი ვარლამ ლიპარტელიანი და დავით ლორიაშვილი გამოცდიან ძალებს, ლევან რაზმაძე და ნოდარ მეტრეველი 100 კგ-ში იფალავნებენ, ხოლო მძიმე წონაში გიორგი ყიზილაშვილს და ადამ ოქრუაშვილს დაუხვდებიან გოლიათი მოჭიდავენი.

საქართველოს ნაკრები რუსეთში დღეს გაემგზავრება. აქვე გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონი გუნდის ვინაობაც ამავე ტურნირზე გაირკვევა.

ზურაბ მიგრიაული

გულგარელმა გულივერმა ასასიორუც დასცა

მაისის ბაშოს მე-11 დღეს ბულგარელმა ოძეკმა კოტოოსიუმ იმპერატორის თასის 22-გზის მფლობელ იოკოძუნა ასასიორუს სარტყელში ხელები ჩასჭიდა და მძლავრი მიწოლით გაიყვანა დოჰიოს გარეთ. ასასიორუსთვის ეს მარცხი მეორეა მაისის ბაშოზე, კოტოოსიუ კი აგრძელებს თავის დაუმარცხებელ სუპერსერიას. 25 წლის პირველმა ევროპელმა ოძეკმა ტურნირზე 11 გამარჯვება მოაგროვა. მას ერთით ჩამორჩება ისტორიაში 69-ე იოკოძუნა ჰაკუხო. მონღოლმა, რომელსაც ამჟამად ტრავმა აქვს, ძლივძლივობით მოახერხა თანამემამულე ოძეკი ტიეტაიკაის დამარცხება. ჰაკუხომ 23 წლის მეტოქეს იორიკირით მოუგო. მაისის ბაშოზე ჰაკუხო ერთადერთი ფალავანია, რომელსაც მხოლოდ ერთი წაგება აქვს. მას კვალში 9-9 გამარჯვებით უდგანან ასასიორუ და დასავლეთის მე-5 მაეგაშირა ტოიონოსიმა.

მომდევნო ორთაბრძოლას ასასიორუ ოძეკი ტიეტაიკაისთან გამართავს, ჰაკუხო კი კოტოოსიუს შეხვდება.

კვლავაც წარუმატებლად იჭიდავეს ქართველებმა. კოკაიმ იორიკირით წააგო სეკივაკე ამასთან. ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძე ასევე იორიკირით დამარცხდა ოთხი გამარჯვების პატრონ აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირა ტაკამისაკარისთან. გორგაძეს უკვე შვიდი წაგება მოუგროვდა. ერთი მარცხიც და იგი უარყოფით ბალანსს მიიღებს. შემეგ ორთაბრძოლაში ტოჩინოშინი შვიდი შერკინების მომგებ დასავლეთის მე-11 მაეგაშირა ხომასუს დაეჭიდება, ხოლო ლევან ცაგურია, რომელიც განწირულია წოდებაში დაქვეითებისთვის, ექვსი გამარჯვების პატრონ სეკივაკე კოტოსეგიკუს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ კოკაით წოდებული ცაგურია მაისის ბაშოზე საშინლად გამოდის. მას თერთმეტიდან მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს.

ზურაბ მიგრიაული

კოტოოსიუ მაისის ბაშოს დაუმარცხებლად ლიდერობს

გადმო ბეთლემის ფოტო

კარგიც და ცუდიც ნაკრების კაპიტანს მუხლი არ უშვებს

საქართველოს ხელბურთელთა მე-18 ჩემპიონატი საინტერესო და ემოციური პლეი ოფით დამთავრდა. „სტუდენტმა“ მეთვრამეტედ იზეიმა ქვეყნის ჩემპიონობა და ვერავინ იტყვის, დაუმსახურებლადო. უკომპრომისო დაპირისპირებაში სტუდენტებმა საპასუხო მატჩის ბოლო წუთებზეღა მოახერხეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ბოლოს კი ის ულამაზო ინციდენტი იყო, რამაც ცოტა არ იყოს, დაჩრდილა კიდეც სტუ-ს ჩემპიონობა. გამარჯვებულთა კაპიტანი **გიორგი ქობელაშვილი** თანაგუნდელთა დახმარებას რამდენიმე წუთით თუ ახერხებდა, რადგან ტრავმა და გაუსაძლისი ტკივილი მეტის საშუალებას არ აძლევდა. გიორგის გუშინ რომ შევეხმიანეთ, საკლუბოს გარდა, სანაკრებო ამბებიც გამოვკითხეთ. ოქტომბერში ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის მატჩები ელის და ეროვნული გუნდის კაპიტნის შეფასებებიც მოვისმინეთ

— რეგულარულში „თბილისმა“ ზედიზედ სამი თამაში მოგვიგო, თუმც ჩვენ აქცენტს პლეი ოფზე ვაკეთებდით და, მგონი, საკამათოც არაფერი ყოფილა, ისე გავიმარჯვეთ. ახალგაზრდულმა ჟინმა და შემართებამ თავისი გააკეთა. მეტოქე მართლა ძლიერი გვყავდა — ტიტე კალანდაძე, ლევან გელაშვილი, ასევე კარგად ითამაშა ხაზზე უჩა მაისურაძემ, თუმც ბოლოს ფიზიკურად აშკარად დავჯაბნეთ და ბოლო 12 წუთში ტიტეს გაჩერებაც შევძელით.

— ბოლოს კი ძალიან ცუდი რამ მოხდა...

— მართლა ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. გულდასაწყვეტია, ემოციებს რომ აჰყვნენ, მაგრამ რა ვიცი, რა ვთქვა... ისე კი, ამ ამბავმა ჩვენი ჩემპიონობა და საერთოდ, ეს თამაშები დაჩრდილა. არადა, მაგარი ბრძოლა იყო, ნახვად ღირდა.

— ტრავმამ თამაშის საშუალება თითქმის არ მოგცა. ახლა როგორ ხარ?

— მარჯვენა ფეხზე მენისკის ოპერაცია მჭირდება და ეს ახალი ამბავი არ არის, უკვე სამი წელია, მაწუხებს. ჩემი თამაში არც შეიძლებოდა ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ თავი ვალდებულად ჩავთვალე, ბიჭებს დავხმარებოდი. ვარჯიშსაც ვეღარ ვახერხებ თითქმის და თუ ოპერაცია დროულად არ გაკეთდება, მაშინ ოქტომბრამდე ფორმის აღდგენა გამიჭირდება. არადა, ძალიან მინდა, ნაკრებს დავეხმარო.

— ნაკრებს კი მართლაც ურთულესი ჯგუფი შეხვდა, ბევრი ამბობს, რომ ასეთი ძნელი ჯგუფი არც ერთი არ არის...

— ძალიან რთული ჯგუფია. ზოგმა ეს არც იცის და შეიძლება ვინმემ თქვას, მაგალითად პოლონეთს როგორ ვერ უნდა მოუგოთო, მაგრამ ეგენი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტები არიან. შვედეთსაც მაგარი გუნდი ჰყავს. რუმინეთის ნაკრების 5-6 კაცი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა. თან რუმინეთი აუცილებლად პირველ შემადგენლობას ჩამოიყვანს იმის შიშით, რომ ფეხი არ დაუცდეს. ისეთი ჯგუფია, რომ თითო ქულას ოქროს ფასი ექნება.

ჩერნოგორიის თამაშს ნორვეგიაში ვუყურეთ, როცა „ჩელენჯ ტროფის“ ფინალის სათამაშოდ ვიყავით ევროპის ჩემპიონატზე. დანიასთან 5 ბურთით რომ წაეგოთ, ჯგუფიდან გადიოდნენ და რუსეთი რჩებოდა. ძალიან ძლიერი მეკარე, ინსაიდი და ხაზი ჰყავთ. განსაკუთრებით სახლში თამაშობენ მაგრად. იქ გამარჯვება ურთულესი საქმეა. „კილი“ რომ ჩადის ხოლმე იქაურ კლუბებთან სათამაშოდ, მთელი ომი უწევს. უკეთესად თურქეთს ვიცნობთ, რომელსაც ლეგიონერების გარეშე დავუპირისპირდით და წავაგეთ. ეფიქრობ, აქ მათთან მოგება შეიძლება. ისე, სხვებსაც არაფერს დავუთმობთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. მთავარია, ნაკრები კარგად მოემზადოს. ბელარუსში იგეგმება საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა და ზაფხულში სტუდენტური უნივერსიადაა. იქ ნაკრების ძირითადი ბირთვი გამოვა და ესეც წაგვადგება.

ლევანი მაისურაძე

ბოლტ-გაის ამბავი



უსაინ ბოლტი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი 100 და 200 მეტრ სირბილში, ამერიკელი ტაისონ გაი პეკინშიც ეცდება მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის სახელის დამკვიდრებას და ოლიმპიადისთვის გეგმაზომიერად ემზადება. ამ უქმეებზე გაიმ კალიფორნიაში ერთ მომცრო ტურნირზე ირბინა ორივე დისტანციაზე და რა გასაკვირია, ორივე რომ მოიგო, თუმც შედეგებით დიდად კმაყოფილი არ დარჩენილა — 100 მეტრი მან არცთუ შთამბეჭდავ 10,05 წამში დაფარა და ვერც 200 მეტრი ჩაატია 20 წამში.

„თავს მყუდროდ ვერ ვგრძნობ 100 მერტის შედეგით — თავს იმართლებდა გაი — ვარჯიშებზეც კი უკეთეს დროს ვაჩვენებ ხოლმე, მაგრამ მთავარია, რომ მე თვითონ ვიცი, ბევრად უკეთ რომ შემიძლია სირბილი, თანაც გავიმარჯვე“.

მაგრამ გაი თავს ნამდვილად ვერ მისცემს დამშვიდების უფლებას. მსოფლიოს ჩემპიონი კია, მაგრამ მსოფლიოში საუკეთესო სპრინტერობამდე ჯერ ბევრი უკლია. შარშან ოსაკას მსოფლიო პირველობაზე კი გაასწრო იამაიკელ ასაფა პაუელს, თუმც რეკორდსმენად და მთავარ ფავორიტად ისევ ეს უკანასკნელი რჩება. თანაც ასაფამ არცთუ დიდი ხნის წინ განაახლა თავისი რეკორდი და ახალ ნიშნულად სულისშემხუთველი 9,74 წამი დააწესა.

პაუელსაც რომ თავი დაანებოს, გაის კიდევ ერთი იამაიკელი უნდა ჰყავდეს თვალთახედვის არეში — 200-მეტროსანი უსაინ ბოლტი შარშან ოსაკაში მეორე იყო, წლეულს კი ამ ჯან-ღონითა და სისწრაფით აღსავსე ჯეელმა სასწაული ჩაიდინა და 100 მეტრი 9,76 წამში გაირბინა, რითაც ყველა დროის მეორე შედეგის ავტორი შეიქნა.

ამ უქმეებზე ბოლტი ამერიკაში გახლდათ, სადაც ჰ ემპტონში საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და კვლავ 100 მეტრზე მოსინჯა თავი. მართალია, ახლა მან 9,92 შედეგით ხალხი ვეღარ გადარია, მაგრამ ვინც მისი სირბილი ნახა, თქვა, რომ ბოლტმა ბოლო 25 მეტრზე ტემპი აშკარად დაადგო, რაკი გამარჯვება ჯიბეში ჰქონდაო.

თავად ბოლტიც ყოველგვარი ტრაბახის გარეშე მსოფლიოს ინფორმაციას აწვდის, რომ კიდევ შეუძლია 9,7 წამის ფარგლებში სირბილი — „ცუდი სტარტი მქონდა, თავიდანვე მივხვდი, რომ ამ ნიშნულს ვეღარ მივუახლოვდებოდი და თავიც ამიტომ შევიკავე. თანაც მწვრთნელმა და მე დღეს 10 წამიდან ამოსვლა დავგეგმეთ და კარგია, რომ ეს იოლად გამომივიდა“.

ბოლტი 21 წლისაა და მასში ჯერ მხოლოდ თვლემს დიდი სპრინტერი. უყურონ მას გაიმაც და პაუელმაც და თავად იფხიზლონ, მით უმეტეს, რომ ბოლტს ჯერ არც დაუწყია 200 მერტზე ვარჯიში და ღმერთმა უწყის, ამ დისტანციაზე სად გავა მისი შესაძლებლობის ზღვარი.

ვანო ქობიაშვილი

სალადინომ თავი გამოამზეურა



როგორც იქნა სუფთა ჰაერზე გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში ირვინგ სალადინო. პანამელმა მძლეოსანმა აქამდე მონაწილეობა მიიღო ორიოდ ჭერქვეშა ტურნირზე და რამდენიმე კარგი ნახტომიც შეასრულა, მაგრამ ღია მოედნებზე გამოჩენას არ ჩქარობდა.

სალადინო გარეთ ახლაღა გამოვიდა, კვირას მონაწილეობა მიიღო რიო დე ჟანეიროში გამართულ საერთაშორისო ტურნირში და 4 ათასი მაყურებლის თვალწინ დებიუტი სეზონის რეკორდით აღნიშნა. 25 წლის პანამელმა ექვსი ცდიდან სამჯერ დაძლია 8,30-მეტრიანი ზღვარი და მესამე ჯერზე ნაჩვენები 8,39 მეტრით წლის საუკეთესო შედეგი ჩაიწერა.

ვანო ქობიაშვილი

სტუჩინსკი იწვევს ისინბაევას

ჯენ სტუჩინსკი

ყველა დროის უძლიერესმა ჭოკით მხტომელმა ქალმა, რუსმა ელენა ისინბაევამ რამდენიმე წლის წინ იმდენად დაბლა დატოვა დანარჩენი მსოფლიო, რომ მოტივაცია დაკარგა და ბოლო ხანს სიზარმაცე შეუჩნდა. „დანარჩენი მსოფლიო“ კი უქმად დროს არ კარგავს და თანდათან ამცირებს ლენასთან ჩამორჩენას.

ამერიკელი ჯენ სტუჩინსკი თავისი 4,88-მეტრიანი შედეგით ისინბაევას ზურგსუკან მეორე-მესამე ადგილს იყოფდა კიდევ ერთ რუს სვეტლანა ფეოფანოვასთან. ორშაბათს კი სტუჩინსკი ამერიკულ კარსონში 4,90 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და მეორეობაში მოცილე ფეოფანოვა უკან მოიტოვა, თანაც ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდიც დაამყარა.

26 წლის ამერიკელს ამ შედეგმა ცხადია მოჰგვარა კმაყოფილება და ისინბაევას დასაწევად მუშაობის მეტი სურვილი. „სვეტლანა ბოლო დროს ვეღარ ან აღარ აჩვენევს დიდ შედეგებს, რადგან მას დასამარცხებელი არავინ ჰყავს — მსჯელობს სტუჩინსკი — მე ვცდილობ მას დავეწიო და ჩემს თავს მსოფლიოს უძლიერეს მეჭოკესთან ბრძოლის შანსი შევუქმნა. კიდევ რამდენიმე ტექნიკურ დეტალზე მაქვს სამუშაო, მერე კი ვნახოთ“.

ვანო ქობიაშვილი

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

სამის ფასი


ფელიპე მასა

„ფერარის" მრბოლები, კიმი რაიკონენი და ფელიპე მასა, აგრეთვე „მაკლარენელი" ლუის ჰემილტონი — ინგლისური საბუქმეიკერო კანტორის, „უილიამ ჰილის" აზრით, სწორედ ამ სამ მრბოლს აქვს კვირას გასამართი მონაკოს დიდი პრიზის მოგების ალმატებული შანსი.

„უილიამ ჰილის" ბუქმეიკერები ხსენებულ სამეულზე, დაახლოებით ერთნაირი კოეფიციენტებით იღებენ ფსონს — კიმის მოგება 3,25/1-თან ფასობს, ლუისის კოეფიციენტი 3,5/1 არის, ხოლო ფელიპესი — 3,75/1.

ამათ შემდეგ 7/1 კოეფიციენტით ჰემილტონის თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი მოდის, რომელსაც 15/1 კოეფიციენტით „BMW-ზაუბერის" რობერტ კუბიცა და „რენოელი" ფერნანდო ალონსო მოჰყვებიან. 17/1 კოეფიციენტი აქვს კუბიცას თანაგუნდელ ნიკ ჰაიდფელდს და დანარჩენი მრბოლები კი, „უილიამ ჰილის" აზრით, პრაქტიკულად უშანსოდ არიან.

ფელიპე მასა ბუქმეიკერთა №3 ფავორიტია, თუმც თავად ბრაზილიელი ამბობს, რომ მონტე კარლოს ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩები მის საყვარელ ტრასათა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება.

„უნდა ვაღიარო, რომ ეს ტრასა გულზე დიდად არ მეხატება. ბოლიდის მართვის თვალსაზრისით, მე ვამჯობინებ სწრაფ ავტოდრომებს, მაგალითად, თურქულს, ბაჰრეინულს — განაცხადა მასამ, თუმც იქვე დაამატა — მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე მონტეკარლოში წარმატების მიღწევა არ შემიძლია. ეს სარბოლო უიქენდი საკმაოდ მძიმე იქნება. როგორც ყოველთვის, მთავარი ხიფათი „მაკლარენისგან" არის მოსალოდნელი, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ მათ არ ჩამოვრჩებით. ჩემი აზრით, „ფერარი" მონაკოს დიდი პრიზისთვის შარშანდელზე უკეთ არის მომზადებული".

აქვე გეტყვით, რომ „ფერარის" მონაკოს სამთავროში 2001 წლის შემდეგ არ მოუგია და იტალიური სუპერსაჯინიბოს შეფები იმედოვნებენ, რომ რაიკონენი და მასა შეძლებენ წარუმატებლობათა შვიდწლიანი ჯაჭვის გაწყვეტას.

ბაჩა ლომაძე

გლოკი მონაკოში ქულებს გეგმავს

„უმცროსი" ფორმულის, GP2-ის სერიის შარშანდელი გამარჯვებულის, გერმანელი ტიმო გლოკისთვის საპირველფორმულო სეზონი, ჯერჯერობით, წარუმატებლად მიდის. „ტოიოტას" მრბოლს განვლილ ხუთ ეტაპზე კინკილა ქულაც კი არ აუღია და ტიმო იმედოვნებს, რომ ამ მოჯადოებულ წრეს მონაკოში გაარღვევს.

„ეს იქნება ჩემი პირველი დიდი პრიზი მონტე კარლოს ქუჩებში და მე მოუთმენლად ველი ამ რბოლას. ეს ტრასა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელია ჩემთვის და ვიმედოვნებ, რომ სწორედ აქ მოვიპოვებ პირველ ქულებს.

მონაკოში გადამწყვეტ ფაქტორს კვალიფიკაცია წარმოადგენს, რადგანაც გასწრება, თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, კვალიფიკაციაზე უნდა ვაჩვენო კარგი შედეგი და შემდეგ რბოლაშიც ბოლომდე ვიბრძოლო" — განაცხადა ტიმო გლოკმა, ვის შანსებსაც გამარჯვებაზე, „უილიამ ჰილის" საბუქმეიკერო კანტორა 126/1 შეფარდებით აფასებს.

ბაჩა ლომაძე



წვიმაში, აღმართ-დაღმართში...

ამ უქმეებზე საპირველფორმულო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ნამდვილად ყველაზე თვალსასეირო რბოლა, მონაკოს დიდი პრიზი გაიმართება და სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ მონტე კარლოს ვიწრო და აღმართ-დაღმართიანი ქუჩების გარდა, „სამეფო მრბოლებს" პრობლემებს ამინდიც შეუქმნის.

თუ სინოპტიკოსთა პროგნოზებს ვერწმუნებით, კვირის ბოლოსთვის მონაკოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა +20 გრადუსი იქნება და ხანმოკლე შესვენებებით, მაგრამ მუდმივად იწვიმებს. ბედის ირონიით, სარბოლო უიქენდის ყველაზე მშრალი დღე პარასკევი უნდა იყოს, როდესაც მრბოლები თავისუფალ პრაქტიკას გადიან ხოლმე, მაგრამ მონტე კარლო ამითაც განსაკუთრებულია და თავისუფალი პრაქტიკა ხუთშაბათობით ტარდება.

ასეა თუ ისე, ცას ხელს ვერავინ ააფარებს და ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ წვიმა ამ თვალსასეირო სანახობას არ გააფუჭებს.

ბაჩა ლომაძე

მარსიო ბრუზეგინი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალური ბრუზეგინი
ალბერტო კონტადორი გაბზარულიც მაგარია

„ლამპრეს" იტალიელი მრბოლის მარსიო ბრუზეგინის გამარჯვებით დასრულდა „ჯირო დიტალიას" მე-10 ეტაპი, 39,4-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა. პესკარადან ურბანომდე გაჭიმული საკმაოდ აღმართ-დაღმართიანი გზა ბრუზეგინიმ 56 წუთსა და 41 წამში დაფარა, და, შესაბამისად, 8 და 20 წამი მოუგო ყაზახურ-ლუქსემბურგული „ასტანას" ლიდერებს, ესპანელ ალბერტო კონტადორსა და გერმანელ ანდრეას კლოდენს.

ეტაპის ფავორიტებად, სწორედ „ასტანას" ხალხი ითვლებოდა — კონტადორი, კლოდენი და ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი. კონტადორი ალბათ მოიგებდა კიდეც რბოლას, მაგრამ როდესაც ის ბოლო კილომეტრებს გადიოდა, წვიმა წამოვიდა და შარშანდელი „ტურ დე ფრანსის" ტრიუმფატორმა ძვირფასი წამები დაკარგა. ეგეც არ იყოს, მანამდე კონტადორს მარცხენა ხელის ერთ-ერთ ძვალზე ბზარი აღმოაჩნდა, თუმც ესპანელმა ამის გამო რბოლის მიტოვება არ ისურვა და განაცხადა: „ყველა ველოსიპედისტმა კარგად იცის, რომ ამ დონის შეჯიბრზე ქანცგამცლელი ვარჯიშისა და იღბალის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ, ხშირად კი საამისოდ ჯანმრთელობაც უნდა შესწირო მსხვერპლად. რა თქმა უნდა, ეს ბზარი ჩემს გზას არ გაიოლებს, მაგრამ მე მაინც ბოლომდე ვიბრძოლებ".

კონტადორმა ინდივიდუალური რბოლის შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე აინაცვლა, თუმც ლიდერთან, იტალიელ ჯოვანი ვისკონტისთან, ჯერაც ბევრს, თითქმის 7 წუთს აგებს.

ვისკონტი მეათე ეტაპზე მეთორმეტე იყო ბრუზეგინთან წუთისა და ხუთი წამის ჩამორჩენით. თითქმის იგივე შედეგი ჰქონდათ ლეიფჰემერსა და „ჯიროს" ძველ ჩემპიონ ჯილბერტო სიმონის.

ფავორიტებიდან ინდივიდუალური რბოლა აშკარად ჩააგდეს რიკარდო რიკომ, ფრანკო პელიცოტიმ და შარშანდელმა ჩემპიონმა დანილო დი ლუკამ, რომლებმაც გამარჯვებულთან ორ წუთზე მეტი წააგეს. გერმანელმა მატიას რუსმა ოთხ წუთზე მეტი წააგო ბრუზეგინთან, თუმც საერთო ჩათვლის მეორე პოზიცია მაინც შეინარჩუნა. რიკო და დი ლუკა კი ლიდერთან, უკვე რვაწუთნახევარს აგებენ. „უცნაური დღე იყო. ბევრი რამ არ გამომივიდა, თუმც ჩვენი გუნდის წევრებმა, მთლიანობაში, საკმაოდ კარგად ირბოლეს" — დანანებით განაცხადა დი ლუკამ, ვისი შანსებიც, ზედიზედ მეორედ მოიგოს მშობლიური სუპერრბოლა, მნიშვნელოვნად შემცირდა.

91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

X ეტაპი

პესკარა — ურბინო. 39,4 კმ. ინდივიდუალური რბოლა

1. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე")	56 წთ. 41 წმ
2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა")	+8 წმ.
3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა")	+20
4. მარკო პინოტი (იტალია, „ჰაი როადი")	+36
5. პაოლო სავოლდელი (იტალია, LPR)	+44

საერთო ჩათვლა

1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, „ქვიქ სტეპი")	43 სთ. 12 წთ. 02 წმ.
2. მატიას რუსი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	+3 წთ. 31 წმ.
3. გაბრიელე ბოსისი (იტალია, LPR)	+5.50
4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა")	+6.59
5. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე")	+7.52

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

MOSCOW FINAL 2008

„ლუჟნიკი“ გუშინ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ტერი იყოს შენი მტერი

მანჩესტერი 1:1(დ.დ. (6:5პ.) ჩელსი

1:0 რონალდუ (27), 1:1 ლამპარდი (45)
პენალტები: 1:0 ტევესი, 1:1 ბალაკი, 2:1 კარიკი, 2:2 ბელეტი, 2:2 რონალდუ (მეკარე), 2:3 ლამპარდი, 3:3 ჰარგრივსი, 3:4 კოული, 4:4 ნანი, 4:4 ტერი (ძელი), 5:4 ანდერსონი, 5:5 კალუ, 6:5 გიგზი, 6:5 ანელკა (მეკარე)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ბრაუნი (ანდერსონი 126), ჰარგრივსი, ვიდიჩი, რონალდუ, კარიკი, სქოულზი (გიგზი 88), რუნი (ნანი 102), ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩელსი: ჩეხი, ესიენი, ე. კოული, რ. კარვალიუ, ტერი, მაკელელე (ბელეტი 126), ლამპარდი, ბალაკი, დროგბა, ჯ. კოული (ანელკა 100), მალუდა (ს. კალუ 93)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ფერდინანდი, ვიდიჩი, სქოულზი, ტევესი, ესიენი, კარვალიუ, მაკელელე, ბალაკი
გაძევება: დროგბა (116)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
67 310 მაყურებელი

„ლუჟნიკის“ 300 ათას დოლარიან ბალახს მოსკოვური წვიმა და ორი კაცის ცრემლები ასველებდა.

ერთი იყო კრიშტიანუ რონალდუ, მეორე კი ჯონ ტერი.

სატირლად ორივეს ერთი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ რონალდუს ცრემლი ვან დერ სარმა ნახტომში მოწმინდა, როცა ანელკას აუღო, ტერის კი მთელი გუნდი უმშრალებდა თვალებს, მაგრამ... ბედი და ამინდი არ გინდა? პირველად გახვიდე ფინალში, მოსკოვში ჩახვიდე და პენალტის დარტყმისას ფეხი დაგისხლტეს...

არადა, როგორი ბურთი გამოაძრო ტერიმ დამატებით დროში, გიგზი ცარიელ კარში რომ ურტყამდა...

მილიარდერი რომან აბრამოვიჩიც კი დააპატარავა ნერვიულობამ.

ჯონ ტერიმ პენალტი რომ ვერ გაიტანა, „ჩელსის“ პატრონი სკამზე ისე დაიგრიხა, თითქოს დამალვას ცდილობსო.

„ჩელსიმ“ ვერ გაიყოლა თასი იმ ქალაქიდან, სადაც ოდესღაც, აბრამოვიჩმა პირველად გაჩარხა სარფიანი საქმე.

მანჩესტერიდან „ზენიტმა“ წაიღო უეფას თასი, „მანჩესტერმა“ კი მოსკოვიდან — უკეთესი.

ალბათ იმიტომ, რომ მთელი სეზონის განმავლობაში სხვებზე უკეთესი გუნდი იყო და კრიშტიანუ რონალდუ ჰყავს.

ისევ რონალდუ ბზრიალებდა, ქმნიდა, პასებს არიგებდა და აკი გაიტანა კიდეც მოხდენილი თავურით სეზონში 42-ე გოლი.

ისე, რა მოიგონა ეს, დამუხრუჭებით პენალტების დარტყმა? შარშან ასეთები არ იცოდა, წლეულს „არსენალთან“ გააკეთა და გამოუვიდა, ფინალში კი ილეთი აღარ გაუვიდა.

და, რა თქმა უნდა, ედვინ ვან დერ სარი — 37 წლის ჰოლანდიელი, ვინაც „ჩელსი“ შარშან აგვისტოში სუპერთასზეც გაამწარა. მაშინაც თამაში 1:1 დასრულდა და ვან დერ სარმა პენალტების სერიაში სამი მოიგერია.

დისკვალიფიკაციის გამო „ბაიერნთან“ 1999 წლის ფინალს მიღმა დარჩენილ პოლ სქოულზს ალექს ფერგიუსონი შეპირდა, გათამაშებო და ათამაშა კიდეც ერთი ეგაა, სქოულზს ცხვირში მაკელელეს მუშტი მოხვდა.

მის ნაცვლად შესულმა რაიან გიგზმა „მანჩესტერში“ თამაშების რაოდენობით სერ ბობი ჩარლტონის რეკორდი მოხსნა და პატივცემულმა სერმა ეს თავად იხილა, რაკი სტადიონზე ბრძანდებოდა.

ხოლო დიდი დროგბას სერობამდე ბევრი უკლია. ნემანია ვიდიჩს რომ მსუბუქად სილა გააწნა, ლუბოშ მიხელმაც დაინახა და დამრტყმელს წითელი ბარათი უჩვენა.

ვიდიჩი კი ძალიან გაბრაზდა, ბარათივით გაწითლდა და ისე იქაჩებოდა ხურდის დასაბრუნებლად, რომ მის დასაკავებლად ლამის სპეცრაზი გამოიძახეს.

26 აპრილს „ჩელსი“ — „მანჩესტერის“ მატჩისას ვიდიჩს დროგბას მუხლი ცხვირპირში მოხვდა და კბილიც დააკარგვინა. ლონდონში ფეხი დაარტყა, მოსკოვში ხელი და ამდენს ვეღარ მოითმენდა.

2006 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში „არსენალის“ მეკარე იენს ლემანი გააძევეს. ორჯერ გავიდნენ ლონდონური გუნდები ფინალში და თერთმეტი კაცით თამაში ვერ ჩამთავრეს.

აი, ასე — „მანჩეტერმა“ მესამედ მოიგო ჩემპიონთა თასი და ინგლისი ამ ჯილდოს რაოდენობით (11) იტალიას და ესპანეთს გაუთანაბრდა.

და ერთიც, კადრი ტელეეკრანზე: დურბინდიანი იური ლუჟკოვი მიშელ პლატინისთან რა მოსატანია?

ვაჟა ხუციშვილი

ანგარიში კრიშტიანუ რონალდუმ ამ თავურით გახსნა

ედვინ ვან დერ სარმა „მანჩესტერს“ ეს წამია, ჩემპიონთა თასი მოგებინა

ფრენკ ლამპარდის გამთანაბრებელი გოლი

ნორვეგია
I დივიზიონი
გადადებული მატჩი
სანდეფიორდი 2:0 სიოგნდალი

ხორვატია
გადასასვლელი
პლეი ოფი
საპასუხო მატჩი
დრაგოვოლიაცი 0:0 ინტერი (0:2)

შვედეთი
სუპერლიტა. VII ტური
ანგელჰოლმი 2:0 დეგერფორსი
იორგრიტე 4:2 ფალკენბერგი

ამსანაგური მატჩები
ბოზამბიკი 1:1 უგანდა
ინდონეზია 1:5 ბაიერნი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილიანანბაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge